KEY CONSULTING

Key Consulting

შპს „ქი ქონსალთინგი“

პედაგოგთა ნაშრომების კრებული

# თანამედროვე გამოწვევები სწავლების პროცესში

2019

# Key Consulting

პედაგოგთა ნაშრომების კრებული

**„თანამედროვე გამოწვევები სწავლების პროცესში“**

თბილისი, 2019

**ავტორები:**

| | | |
|---|---|---|
| დარიკო ხვედელიძე | ხათუნა ქუმელაშვილი | თამარ ვეფხვაძე |
| ქეთევან გარაყანიძე | გულნარა ჟღენტი | ანა ანუშიძე |
| ლელა კაკაშვილი | ლელა კვარაცხელია | რუსუდან ანუშიძე |
| ბელა ლაგვილავა | ია დარბაიძე | ნინელი ხუხია |
| ნატალია ბოჭორიძე | ირმა თოდიძე | ნათია აბულაძე |
| თამარ ჭინჭარაული | სალომე ფურცხვანიძე | მათიკო კოჩაძე |
| თეა გაგუა | მაია ყალიჩავა | ლელა საჯაია |


**აღნიშნული კრებული წარმოადგენს პედაგოგთა ნაშრომებს.**

**შპს „ქი ქონსალთინგი“ პასუხიმსგებლობას არ იღებს ნაშრომების სამეცნიერო ხასიათსა და შინაარსზე.**

**დარიკო ხვედელიძე**

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ დარკვეთის საჯარო სკოლის დირექტორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიის წამყვანი პედაგოგი

## „მშობელთა ჩართულობა ბავშვის აღზრდაში“

სტატიაში საუბარია იმის შესახებ, თუ რატომ არის ეს მნიშვნელოვანი და როგორ უნდა უზრუნველვყოთ მშობელთა აქტიურობა ამ მიმართულებით. მოზარდის სასკოლო ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგისა და მშობლის ერთობლივი როლი. მშობელთა ჩართულობას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ბავშვის განვითარებაზე, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. საინტერესოა, როგორ უწყობს ხელს მასწავლებელს მოზარდთან ურთიერთობაში მშობელთან აქტიური თანამშრომლობა.აქვე საუბარია იმ სოციალურ პროექტზე, რომელიც დარკვეთის საჯარო სკოლამ განახორციელა პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების ერთობლივი ჩართულობით.

**საკვანძო სიტყვები:** მოზარდი, სასკოლო ცხოვრება, აქტიური თანამშრომლობა, მშობელთა ჩართულობა, უნარ-ჩვევები, სოციალური პროექტი, სხვადასხვა აქტივობები, მიღწეული შედეგი

მოზარდის სასკოლო ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგისა და მშობლის ერთობლივი როლი. მშობელთა ჩართულობას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ბავშვის განვითარებაზე, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. საინტერესოა, როგორ უწყობს ხელს მასწავლებელს მოზარდთან ურთიერთობაში მშობელთან აქტიური თანამშრომლობა „ ჩვენ ვამაყობთ თქვენით!“ ასე უნდა იწყებოდეს თითოეული დღე მოსწავლისთვის როგორც მშობლისგან, ისე მასწავლებელთა მხრიდან. რადგან ეს სამი ნაწილისგან შემდგარი ერთობლიობაა, რომელიც პიროვნების მომავალს განსაზღვრავს.. ყველა ადამიანი ერთნაირი შესაძლებლობებითა და უნარებით იბადება, თუმცა ზრდა სრულ ასაკში ჩვენ სრულებით განვსხვავდებით ერთმანეთისგან. მთავარი ის კი არ არის,როგორი მოევლინე ქვეყანას, მთავარი ისაა,როგორ განავითარებ საკუთარშ ესაძლებლობებს და ვინ რა დოზით იქნება ჩართული ამ პროცესში. თუმცა, რათქმაუნდა, დამეთანხმებით, რომ ყველას გვაქვს მიზანი, რომლისკენ სავალი გზა ია-ვარდებით სულაც არარის მოფენილი. ჩვენს ირგვლივ უამრავი წარმატებული პიროვნებაა, მაგრამ თითოეული მათგანი გამორჩეული და ინდივიდუალურია. ნებისმიერი მიღწევის დროს ყველა აღმართს დაღმართი მოსდევს, ხოლო ყოველ წარუმატებელ ნაბიჯს უდიდესი წარმატება. ეს ყველაფერი როდია, სწორედ აქ იკვეთება ერთობლივი როლი და მნიშვნელობა მასწავლებლისა და მშობლისა, რომელთა გამოჩენამ ბავშვის ცხოვრებაში უდიდესი კვალი უნდა დაამჩნიოს. მათთან ურთიერთობა კი სასიამოვნო პროცესად ვაქციოთ. მოწესრიგებულობა, ენერგიულობა, მიზანსწრაფულობა, კრეატიულობა, თანამედროვეაზროვნება, განსხვავებული ხედვა, ენთუზიაზმი, საქმისადმი პროფესიონალური დამოკიდებულება, საჭირო ცოდნისა და სწავლების პროცესისადმი სრულიად ახლებური ხედვა, ნებისმიერი მასწავლებლის მოღვაწეობის წინაპირობა უნდა გახდეს. ის მოსწავლისთვის მხოლოდ მასწავლებელი არ უნდა იყოს, ისთითოეული მოსწავლის საუკეთესო მეგობარია, რომელსაც ღიად შეუძლიათ ესაუბრონ ნებისმიერ თემაზე. მასწავლებელი ყოველთვის გულისყურით უსმენს და საჭიროების შემთხვევაში რჩევებსაც აძლევს მოსწავლეებს, რისი შედეგიც თვალებანთებულ პატარებთან ურთიერთობებია, რომელიც სკოლის ეზოში შემოსვლისთანავე იწყება.

რას ნიშნავს მშობელთა ჩართულობა მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესში, რატომ არის ეს მნიშვნელოვანი და როგორ უნდა უზრუნველვყოთ მშობელთა აქტიურობა ამ მიმართულებით. მშობელთა ჩართულობას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ბავშვის განვითარებაზე, როგორც სკოლამდელ ასაკში, ასევე სასკოლო ასაკში, როდესაც მოსწავლის წინაშე სერიოზული აკადემიური და სოციალური გამოწვევები ჩნდება.მშობელთა ჩართულობის მასშტაბი და ფორმები შესაძლოა იცვლებოდეს და დამოკიდებული იყოს მათ განათლებაზე, სოციალურ სტატუსზე, ასაკზე და სხვ. ეს შესაძლოა გულისხმობდეს როგორც სასკოლო დავალებების შესრულებისას შვილის დახმარებას, ასევე მოსწავლის ხელშეწყობას, რათა მან უკეთ მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, დროის სწორი მენეჯმენტი; ასევე გულისხმობს მშობელთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და აქტიურ კომუნიკაციას შვილის პედაგოგებთან. რატომაა მნიშვნელოვანი მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში? ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია საბაზო საშუალო საფეხურზე, რადგან სკოლამდელ და დაწყებით საფეხურზე მშობელთა მხრიდან მეტი ყურადღებაა გამახვილებული მათ მიღწევებსა და პრობლემებზე, ხოლო შემდეგ საფეხურზე თითქოს თავს არიდებენ ან სათანადო განათლება არ ჰყოფნით, საკუთარი შვილების მიღწევებს თუ პრობლემებს გაუმკლავდნენ, რაც მათ აშორებს საკუთარ შვილებთან.

ჩემი სკოლის მაგალითზე კვლევებმა აჩვენა: როდესაც მშობელი ჩართულია ბავშვის განათლების პროცესში, მოსწავლეს უკეთესი მიღწევები აქვთ, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ოჯახის სოციალურ-ეკონომიური სტატუსი, ეტნიკური წარმომავლობა თუ მშობელთა განათლების დონე. მოსწავლე, რომლის მშობელიც ჩართულია შვილის განათლების პროცესში, უფრო წარმატებით ამთავრებს სკოლას და სწავლის გაგრძელების უკეთესი შესაძლებლობები და პირობებიც აქვს სტატისტიკური მონაცემებით, თუ მშობლებს არ აქვთ ურთიერთობა მასწავლებლებთან, ან არ არიან დაინტერესებული სკოლაში მიმდინარე მოვლენებით, მათი შვილების აკადემიური მოსწრება სხვა ბავშვების მოსწრებაზე უფრო დაბალია. მსობლები როდესაც ჩართული არიან სკოლის ცხოვრებაში, მოსწავლეები უფრო დადებითად არიან სკოლის მიმართ განწყობილი და საკუთარი თავისადა შესაძლებლობების რწმენაც მეტი აქვთ. კვლევა ჩავატარე ჩემი სკოლის საბაზო საფეხურზე მე-7-მე-12 კლასებში. გამოვკითხეთ 80 მშობელი, სადაც გამოიკვეთა შემდეგი: მოსწავლეები, რომელთა მშობლები აქტიურად არიან ჩართული სკოლის ცხოვრებაში, უკეთესი ქცევით გამოირჩევიან და მათ წინააღმდეგ გამოყენებული დისციპლინური სანქციების საშუალო მაჩვენებელიც სედარებით დაბალია, სკოლის ცხოვრებაში მონაწილე მშობლების შვილებს უფრო კარგი ურთიერთობები აქვთ როგორც მასწავლებლებთან, ასევე ოჯახის წევრებთან განსხვავებული კულტურული თვითშეგნებით გამოირჩევიან. ამ გარემოდან გამოსული მოსწავლეები უფრო წარმატებით სწავლობენ, როდესაც მშობლები და მასწავლებლები ერთობლივად ცდილობენ ოჯახსა და სკოლაში არსებული კულტურული განსხვავებულობების ურთიერთშეთანხმებას. „მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისათვის, ასევე მშობლის უნარ-ჩვევების განვითარებისთვისაც. იცვლება მშობლის სოციალური, ემოციური მხარე და პიროვნული თვისებები. ბავშვის განათლების პროცესში მონაწილეობის შედეგად მშობელი უფრო გამგები ხდება საკუთარი შვილის მიმართ; უფრო დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვის სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების საჭიროებებს, ხდება უფრო მზრუნველი, ნაკლებად მკაცრი შვილის მიმართ და უფრო მეტად აფასებს შვილის მიღწევებს, უფრო თავდაჯერებული და სიამოვნებით ერთვება ბავშვის განათლებისა და აღზრდის პროცესში, თავდაჯერებული ხდება გადაწყვეტილების მიღებისას, მეტ ყურადღებას აქცევს საკუთარი ცოდნის დონისა დ აუნარ-ჩვევების ამაღლებას, უფრო წარმატებით იყენებს სხვადასხვა შესაძლებლობებს საკუთარი ოჯახისა და შვილის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.“[1, გვ.3-4. მშობელთა ჩართულობა G-PRIED2015.]

მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება და მნიშვნელოვანია სასკოლო ცხოვრებისთვის და, რაღათქმაუნდა, სკოლაზე დიდ გავლენას ახდენს, რის შედეგადაც:

- სკოლას მეტი მხარდაჭერა აქვს მშობლებისგან, იზრდება სკოლის იმიჯი საზოგადოებაში, სასკოლო პროგრამები, რომლებშიც მონაწილეობენ მშობლები, უფრო წარმატებულია, ვიდრე ის პროგრამები, რომლებშიც მშობლები არ მონაწილეობენ. ამ მიზნით შემიძლია, მოვიყვანო ჩემი სკოლის მაგალითი, რომელიც კვლევის ნაწილი გახლდათ. დავგეგმეთ და განვახორციელეთ ჩვენი სკოლის თვითმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ურთიერთთანამშრომლობის გასაღრმავებლად სოციალური პროექტი „სიკეთე გადამდებია“, რომელიც ჩვენი სკოლის ადმინისტრაციისა და თვითმართველობის ორგანიზებით ჩატარდა.

სოციალური პროექტის მთავარი მიზანი გახლდათ ჩვენი სკოლის ყველა რგოლის ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) პროექტის ფარგლებში რაც ხაზს გაუსმევს სასკოლო საზოგადოების ურთიერთობების აღდგენასა და მათ დაახლოებას ერთმანეთთან. ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა სკოლისა და თემის მასშტაბით ჩაატარეს კონცერტები მე-12 კლასის ხელმძღვანელობით. იქ შემოსული თანხით, რომელთა განკარგვაში ჩართული იყვნენ ფარული კენჭისყრით არჩეული მშობლები, საჩუქრები უყიდეს ჭიათურის მე-12 სკოლა პანსიონის ბენეფიციარებს. სკოლის დირექტორმა მზაობა გამოთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით. 25 დეკემბერს ვესტუმრეთ ბენეფიციარებს. ერთობლივი კონცერტი ჩაატარეს სსიპ ჭიათურის მე-12 სკოლა პანსიონისა და სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ დარკვეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. ჩვენი პროექტის საშუალებითა და მათი სურვილით პროექტის გაგრძელების ესტაფეტა სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხის საჯარო სკოლას გადავეცით, რომელმაც მზაობა გამოთქვა აღნიშნული პროექტის მიმართ და თავის მხრივ პასუხისმგებლობა აიღო, რომ გადასცეს ესტაფეტა სხვა სკოლას. პროექტის მთავარი მიზანია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართვა სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში.პროექტით სწავლების დადებითი მხარე ბევრია, მაგრამ ერთ-ერთია კავშირი რეალურ სამყაროსთან. ამის ნათელი მაგალითი მოსწავლეთა და მშობელთა ბედნიერებითა და ემოციებით სავსე სახეები იყო. მონაწილეები და მთავარი მოქმედი გმირები, ხომ თავად ისინი იყვნენ. მიმაჩნია, რომ ჩემს პრაქტიკაში ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ერთ ჯაჭვად გადაბმული სამი

მნიშვნელოვანი რგოლი, რომლის თავში მოსწავლე დგას, ქვეყანას ღირსეულ ხვალინდელ დღეს მისცემს, მსგავსი ჩართულობით სასკოლო ცხოვრებაში პროექტზე დაფუძნებული სწავლება, ეს არის სწავლების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც, როგორც მოსწავლის, ისე მშობლისა და მასწავლებლის წინაშე აყენებს ახალ ამოცანებსა და გამოწვევებს, რაც დაგვეხმარება, სასწავლო პროცესი გავხადოთ უფრო საინტერესო. ჩემი მხრივ მომეცა შესაძლებლობა, წარმოვაჩინო ჩემი პროფესიული კომპეტენცია, „რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ:

- სხვათა მოსმენისა და მათი აზრის გათვალისწინების უნარი.
- საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და დაცვის უნარი.
- საკუთარ მოსაზრებაზე პასუხისმგებლობის გრძნობა.

(ცეკვა, სიმღერა, ლექსი, მხატვრული დადგმა, სკეტჩი და ა.შ.). მაგალითად ექსკურსიები მშობელთა მონაწილეობით სადაც დაიგეგმება ერთობლივი თამაშები, როგორც სპორტული, ასევე ინტელექტუალური. სასურველია, მშობლებმა მონაწილეობა მიიღონ როგორც თამაშების მოფიქრებაში, ასევე უშუალოდ პროცესში და სასკოლო ღონისძიებებსი. მსგავსო ღონისძიებები ხელს უწყობს მასწავლებლების, მშობლებისა და ბავშვების დაახლოებას.

**დასკვნა** კი იმაში მდგომარეობს, რომ მშობლების მხრიდან დიდი სურვილი და მონდომებაა საჭირო, სკოლებმა კი მათთან უნდა ითანამშრომლონ, რათა სკოლას და ოჯახს ერთნაირი მოლოდინები ჰქონდეთ და სწავლების პროცესს ხელი შეუწყონ. კვლევამ აჩვენა, რომ სკოლებმა, სადაც მშობელთა ჩართულობის ეფექტური პროგრამები, პროექტები არსებობს, და მიიღეს ისეთი პოზიტიური შედეგი როგორიცაა:

- მოსწავლეთა მაღალი დასწრება;
- მოსწავლეთა კარგი ყოფაქცევა;
- მშობელთა ნდობის ამაღლება სკოლისა და სწავლებისადმი;

რაც მოგვცემს მოსწავლეს რომელიც თამამად იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას. მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ისევ და ისევ მშობლის პრიორიტეტების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. ვცდილობთ, რომ ყველა გადაწყვეტილება მათთან შეთანხმებით და მათი მხარდაჭერით მიიღებოდეს. ამასთანავე, ჩვენს სკოლაში მშობელი ჩართულია საკუთარი შვილის სასწავლო პროცესის არა მხოლოდ დაგეგმვის, არამედ განხორციელების პროცესში. მშობელი სკოლასთან ერთად იზიარებს პასუხისმგებლობას მოსწავლის აკადემიურ წარმატებებზე, რაც მას ავალდებულებს აქტიურად იმუშაოს ბავშვთან სახლში განსაზღვრული მიზნის და მიცემული დავალების შესაბამისად. მსგავსი გამოწვევების წინაშე მყოფი მოსწავლე მომავალში ჩამოყალიბებულ და პროფესიონალ პიროვნებად უნდა ჩამოყალიბდეს რადგან მომავალი თაობა ხომ, ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღეა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მშობელთა ჩართულობა დაწყებითი განათლების პროექტი; http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf
2. www maswavlebeli.ge„მშობლებთან თანამშრომლობა – ვსწავლობთ ერთად“ 23 მაისი, 2018წ ქეთევან ლომიძე
3. მშობელთაჩართულობა: http://journals.sagepub.com/doi/abs/10.3102/00346543067001003
4. სასწავლო და პროფესიული გარემო რ.ტყემალაძე, ნ.დალაქიშვილი, ქ.თოფაძე, თ.პაჭკორია.
5. სწავლება და შეფასება ნ.ნიჟარაძე, ქ.მაკლეინი,ტ.ბოლი, ნ.გოგიჩაძე,თ.ლოდია;

ქეთევან გარაყანიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი/საბავშვო მწერალი

**აქტივობები თავისუფალი გაკვეთილებისთვის წამყვანი მასწავლებლის პორტფოლიოდან**

**რა არის თავისუფალი გაკვეთილი?** თავისუფალი გაკვეთილი სასწავლო პროცესის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის მიპყრობისა და მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც მოზარდში აღძრავს სიახლისადმი ინტერესს და დადებითად განაწყობს მას რუტინული პროცესის მიმართ.

**როგორ დავგეგმოთ თავისუფალი გაკვეთილები?** აქ უმიშვნელოვანესი საკითხი ასაკობრივი ინტერესის გათვალისწინებაა. მაგალითად, თუ მეხუთე კლასის მოსწავლეებს დავუსახავთ ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაჭრაც მათ გაუჭირდებათ, გაკვეთილს ვერ მოჰყვება სასურველი შედეგი. თავისფალი გაკვეთილის დასაგეგმად კარგი პლატფორმა ხშირად კლასგარეშე კითხვისა და გრამატიკის გაკვეთილებია, თუმცა მასწავლებელი, რომელიც ხშირად ფიქრობს ახალი აქტივობების შექმნაზე, არც სასკოლო ლიტერატურის კუთხით არის შეზღუდული.

ყველა ვთანხმდებით, რომ შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ენობრივად ურთულესი საკითხია მეხუთე კლასის მოსწავლეებისათვის. **როგორ მივიტანოთ გენიალური და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ტექსტი პატარების გონებასთან ახლოს? როგორ ავუხსნათ მათ აფორიზმში გადმოცემული სიბრძნის მნიშველობა?**

გამოცდილებამ აჩვენა, რომ აქტივობა **დახატე აფორიზმი** დასახული მიზნის მისაღწევად საუკეთესო საშუალებაა.

ხატვის დაწყებამდე აუცილებელია, პატარებს დავეხმაროთ იმ უცხო სიტყვების განმარტებაში, აფორიზმის კითხვისას რომ შეხვდათ.

**სამუშაო ცხრილი**

| **აფორიზმი** | **ლექსიკონი** | **გაამთლიანე ფრაზა და დაწერე რას მიხვდი!** |
|---|---|---|
| „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების“ | კოკა-<br>შიგან-<br>რაცა-<br>დგას-<br>წარმოსდინდების- | **პირდაპირი მნიშვნელობით:** რაც კოკაში ასხია, იგივე გადმოიღვრება;<br><br>**გადატანითი მნიშვნელობით:** გადმოეცი, როგორ გესმის: |

მხოლოდ ამ აქტივობის შემდეგ გადავდივართ ახალ აქტივობაზე **დახატე აფორიზმი,** სადაც მოსწავლე წარმოგვიდგენს ვიზუალურ მასალას იმის შესახებ, თუ როგორ აღიბეჭდა მის გონებაში აფორიზმის შინაარსი, რომელიც ახლახანს გაიაზრა.

**დახატე აფორიზმი:**

თავისუფალი გაკვეთილისთვის კიდევ ერთი საიტერესო აქტივობაა **განმარტე, როგორ გესმის.** ქართულ ენაში უამრავი ფრაზეოლოგიზმი და გამონათქვამია, რომელთა შინაარსი დღეს ბევრ მოსწავლეს (მაღალ კლასებშიც კი) სრულებით არ ესმის. არადა, როგორი მნიშვნელოვანია ამგვარი გამონათქვამების ცოდნა, ბავშვებში მწირი ლექსიკური მარაგის შესავსებად და გადასახალისებლად.

**მოსწავლეებს ვთავაზობთ სამუშაო ცხრილს:**

| **უცნაური გამონათვამი** | **როგორ გესმის?** | **სინამდვილეში რა ყოფილა?** | **რა შემთხვევაში გამოვიყენებ ამ გამონათვამს** |
|---|---|---|---|
| გულს ნუ გაიტეხ! | | | |

ამავე გამონათქვამების ბაზაზე კიდევ ერთი საინტერესო რესურსის შექმნაა შესაძლებელი. **უცნაური ფრაზა ჩასვი დიალოგში;**

| **ფრაზა** | **განმარტება (როგორ გესმის?)** | **თურმე სინამდვილეში რას ნიშნავს?** | **დიალოგის ველი** |
|---|---|---|---|
| გულში ჩავარდნა | | | -გამარჯობა!<br>-გაგიმარჯოს!<br>-ნინო, ახალი ამბავი გაიგე?<br>-რა ამბავი?<br>-შოთის თეკლე ჩავარნია გულში.<br>-ეს რას ნიშნავს?<br>-იმას, რომ შოთის თეკლე უყვარს. |

ზემოაღნიშნული დავალება მოსწავლეს საშუალებას აძლევს მისთვის გაუგებარი გამონათქვამი აღიქვას არა კონტექსტიდან ამოგლეჯილ უცხო და მოძველებულ გამონათქვამად, არამედ ფრაზად, რომელიც საშუალებას აძლევს გაამრავალფეროვნოს სათქმელი და იყოს საინტერესო მოსაუბრე.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებისათვის ლიტერატურული ხერხების სწავლებას ვიწყებთ, მნიშვნელოვანი პრობლემები იჩენს თავს. კერძოდ: თითქოს ყველაფერი ნათელია, როცა მასწავლებელი ამობობს: გალაკტიონის ლექსში „ზამბახი“ მთვარის მეტაფორაა, მაგრამ როგორ ჩასწავდეს მოსწავლე არსს, რატომ არის მთვარე ზამბახი?

ამ პრობლემის დასაძლევად ერთი მარტივი ხერხი არსებობს.

მოსწავლეებს ვთავაზობთ დილემის გადაჭრის საინტერესო და სახალისო გაზას.

**სამუშაო ცხრილი: იმსჯელე, რა კავშირს ხედავ სიტყვებს შორის;**

| **საწყისი სიტყვა** | **შესაძლო მეტაფორა** | **მეტაფორების ანალიზი** |
|---|---|---|
| **მზე**<br>გზა<br>რწმენა | **ცოდნა**<br>გადაწყვეტილება<br>საგზალი | მზე სინათლეს გამოსცემს;<br>გადატანითი მნიშვნელობით ცოდნაც სინათლეა;<br>**მზე შესაძლოა იყოს ცოდნის მეტაფორა**. |

თავისუფალი გაკვეთილების სქემაში კარგად ჯდება **სიტუაციური ამოცანებით,** მუშაობის პრაქტიკა, ეს უკანასკნელი აუცილებლად ჯგუფური სამუშაოა. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი მოსწავლეა კლასში, ვაკომპლექტებთ ჯგუფებს და ყოველ მათგანს ვაძლევთ სხვათაგან განსხვავებულ სიტუაციურ ამოცანას. მოსწავლეებმა ამ ამოცანებში წამოჭრილი საჭირბოროტო პრობლემები უნდა გადაჭრან, მაგალად:

**სიტუაციური ამოცანა:**

| **ამოცანა** | **პრობლემის გადაჭრა** |
|---|---|
| ქალაქის ცენტრში ძველი სახლი დგას, რომელიც არც ლამაზია, არც არქიტექტურული ძეგლის ღირებულების მქონე. ახალგაზრდები მოითხოვენ მის დაშლას, ხანდაზმულები კი ფიქრობე, რომ ამ სახლთან ერთად ქალაქის ისტორიაც წაიშლება და მშობლიური ადგილი მათთვის უცხო გახდება.<br><br>მერიამ განიხილა სადავო საკითხი, მაგრამ დასკვნის გამოტანა და გადაწყეტილების მიღება გაუჭირდა.<br><br>დაეხმარეთ მერიის თანამშრომლებს პრობლემის მოგვარებაში! | |

მსგავსი სიტუაციური პრობლემების გადაჭრისას მასწავლებელი ხედავს მოსწავლეთა უნარებსა და შესაძლებლობებს, მათ ინტერესებსა და პიროვნულ თვისებებს. პროცესი უაღრესად საინტერესო და სახალისოა. ყოველ მოსწავლეს აძლევს საშუალებას აუდიტორიას გააცნოს თავისი სხვა მხარე, სხვა შესაძლებლობები.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი იდეები მარტივად შეიძლება ჩავრთოთ ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცეში, მათი საშუალებით ეს გაკვეთილები საინტერესო და მრავალფეროვანი გახდება.

**ლელა კაკაშვილი**

ვაჟა-ფშაველას სახელობის გორის სსიპ №9 საჯარო სკოლის ისტორიის უფროსი მასწავლებელი

## „Skype“-ი ისტორიის გაკვეთილზე

*„ისწავლე და მიხვდები, რომ სწავლას საზღვარი არა აქვს“*

*(ჩინური ანდაზა)*

სწავლის პროცესი  არა თანაარსებობის, არამედ თანამშრომლობის სახით ხორციელდება. სწავლის ასეთ პროცესში მოსწავლეები იყენებენ სხვისი წარმატებისა და წარუმატებლობის მაგალითს, მხედველობაში იღებენ სხვის შეცდომებსა და მიღწევებს, რის საფუძველზეც მათი სწავლის პროცესი ბევრად უფრო მეტი ნაყოფიერებით ხასიათდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგის მიერ სწავლა-სწავლების სწორად შერჩეული მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებას. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა სწორედ ასეთი  თანამედროვე მოთხოვნების წინაშე აყენებს ქართველ მასწავლებლებს, „სწავლების თანამედროვე მოთხოვნებში“ კი ვგულისხმობთ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება ჩამოყალიბდნენ XXI საუკუნის მოქალაქეებად და შეძლონ საზოგადოებაში თვითრეალიზაცია.

ისტორია ერთერთი უმნიშვნელოვანესი სასწავლო საგანია. რადგან მისი სწავლება ძალზე ჰარმონიულად ესადაგება კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზთან დაკავშირებულ პროცესებს. მასწავლებელი ყოველთვის უნდა ზრუნავდეს, რომ ისტორიის გაკვეთილები სახალისო  და საინტერესო იყოს. ისტორიის სწავლების მნიშვნელობაზე საუბრობს პულიცერის პრემიის ლაურეატი, ისტორიკოსი უოლტერ მაკდუგალი,როდესაც აღნიშნავს: „ისტორია შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც დაგროვილი ცოდნითა და გამოცდილების მატარებელი უზარმაზარი ხომალდი, რომელიც ჭეშმარიტ ცოდნასა და გამოცდილებას აძლევს ახალგაზრდა თაობებს, ხელს უწყობს მათი გონებრივი შესაძლებლობების განვითარებას, აიძულებს მათ გამოიძიონ, გაანალიზონ, დაასაბუთონ ისტორიული და ადამიანური ტრაგედიების თუ ტრიუმფების გამომწვევი მიზეზები“.

არცთუ ისე შორეულ წარსულს თუ გადავავლებთ თვალს, გაგვახსენდება დაფასთან, რუკასთან ან საკლასო ოთახში სტატიკურ მდგომარეობაში მდგომი ისტორიის მასწავლებელი, რომელიც მსოფლიო ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებზე საუბრობდა. მას არც გაემტყუნებოდა, ვინაიდან მისი მიზანი იყო მოსწავლეებისათვის გარკვეული ცოდნა და ინფორმაცია გადაეცა. ამჟამად, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან გამომდინარე ისტორიის მასწავლებლებს ურთულესი მისია დაეკისრათ: მოსწავლეები აღჭურვონ იმ უნარ-ჩვევებით, რომლებიც მათ საკუთარი ქვეყნის პატრიოტებად, პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებებად, საზოგადოების განვითარებაში მონაწილე მოქალაქეებად ჩამოაყალიბებს, ხოლო ამ მისიის შესრულების საშუალებად გამოიყენონ მათ მიერ გადაცემული ცოდნა. „თუ ისტორიის სწავლებას სწორად წავმართავთ, ჩვენი მოსწავლეები შეძლებენ არა მარტო ჩაწვდნენ წარსული დროის ამა თუ იმ მოვლენის არსს ან ისტორიული პიროვნებების როლს, არამედ დაუკავშირონ ისინი თავიანთ ცხოვრებას“, „ლიბერალური მეცნიერებების ცოდნა არის უმთავრესი წინაპირობა მსოფლიოზე სწორი წარმოდგენის შესაქმნელად“ - აღნიშნავს ლინი მანსონი.

სწავლების ტექნოლოგია მასწავლებლის ხელოვნებას წარმოადგენს, ისტორიის სწავლების ეფექტურად წარმართვისათვის კი მნიშვნელოვანია პედაგოგი ფლობდეს სწავლების დახვეწილ ტექნოლოგიას, კერძოდ სწორად შერჩიოს მეთოდი და სტრატეგია. ამ მხრივ საკმაოდ შემოქმედებითი და პროდუქტიულია „Skype“-ს გამოყენება გაკვეთილზე. “Skype“-ი მოსწავლეებს სთავაზობს რეალური დროის რეჟიმში საგანმანათლებლო გამოცდილების ტრანსფორმირებას და ითვალისწინებს: ვირტუალურ ექსკურსიებს, მომხსენებლის მოწვევას, გლობალურ კოლაბორაციულ პროექტებში მონაწილეობას; სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეთა კლასებს შორის ურთიერთობებს და მათი კულტურის გაცნობას; ეს არის სივრცე, სადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ერთმანეთთან ურთიერთობა და გამოცდილების გაზიარება შეუძლიათ. Skype-ის გამოყენებით ისტორიის გაკვეთილზე მოსწავლეები:

1. ინფორმაციას წიგნში ან ინტერნეტში კი არ მოიძიებენ, არამედ კვლევას თვითონვე განახორციელებენ ;
2. ისტორიულ მოვლენას ემოციურად გაანალიზებენ;
3. რეალურ სამყაროში რეალური გამოცდილების საფუძველზე საუკეთესოდ გაანალიზებენ და დაასაბუთებენ ისტორიულ მოვლენათა გამომწვევ მიზეზებს და იმსჯელებენ შედეგებზე;

4. კრიტიკული აზროვნების უნარების გამოყენებით შემოქმედებითად გადაჭრიან პრობლემებს;

„Skype“-ით განხორციელებულ ისტორიის გაკვეთილზე მოსწავლეები ახალ მასალას კლასის მიღმა ეცნობიან, უმეტეს შემთხვევაში ისინი თვითონვე ქმნიან და განაახორციელებენ სხვადასხვა ტიპის პროექტებს, ინფორმაციას იღებენ ალტერნატიული გზებით, ხდებიან უფრო თავდაჯერებულები, უკეთ საზღვრავენ სწავლის მათთვის ყველაზე სასურველ ხერხებს. მოკლედ, Skype“-ით განხორციელებული სასწავლო პროცესი შეიძლება ჩავთვალოთ კონსტრუქციულ პედაგოგიკად, რომლის დროსაც იქმნება ნიადაგი, რათა პასიური სასწავლო პროცესი გარდაიქმნას აქტიურ სასწავლო პროცესად, ხოლო ისტორიის გაკვეთილი მოსწავლეთათვის „მოსაწყენი“ აღარ იყოს.

Skype“-ის საშუალებით მოსწავლეები მოგზაურობენ მსოფლიოს გარშემო და ეცნობიან სხვადასხვა ქვეყნების ისტორიას, მაგალითად: ათვალიერებენ ეგვიპტის პირამიდებს, ეცნობიან უძველეს ინდურ ცივილიზაციას; მსჯელობენ აშშ-ს სამოქალაქო ომის შედეგების შესახებ; საკუთარი თვალით (ვირტუალურად) ნახავენ აბრაამ ლინკონლის ბიბლიოთეკას და შეისწავლიან მის მოღვაწეობას; გაანალიზებენ მეორე მსოფლიო ომის დროს დოქტორ სიუზეს მიერ შექმნილ პოლიტიკურ კარიკატურებს; გაეცნობიან პირველი მსოფლიო ომის ჯარისკაცის ცხოვრებას და მის შეხედულებებს და სხვა. მსოფლიოს თანატოლებთან ერთად მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ არსებობს „ჩვენ“ და „ისინი“, არამედ მსოფლიოში ცხოვრობენ მატი თანატოლები, რომლებსაც იგივე ღირებულებები და ოცნებები, ინტერესები და იმედები გააჩნიათ, რაც მათ.

დასკვნის სახით შეიძლება ავღნიშნოთ, რომ ისტორიის გაკვეთილზე „Skype“-ის საშუალებით მოსწავლეები აცნობიერებენ იმას, რომ ცვენამდე მოღწეული ისტორია თავის დროზე ცოცხალი პროცესი იყო, რომელმაც თაობები გამოიარა და გავლენა მოახდინა აწმყოზე და განაპირობებსმომავალს.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ჭკუასელი ქ. დოლიძე თ. სწავლების მეთოდები საშუალო სკოლაში;The 4th Teacher Conference “University and School” (Problems of Teaching and Education) The exchange of Good Practices; 17 October, 2015, Material; pp 278-286;
2. https://blogs.skype.com/skype-classroom/2016/09/02/skype-collaborations-a-glimpse-of-the-world-for-our-students/; უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 10.06.2019;
3. https://onlineteachersuk.com/skype-lessons-vs-traditional-classes/; უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 10.06.2019;
4. https://education.microsoft.com/skype-in-the-classroom/virtual-field-trips/SeeAll#%7B%22NavCategories%22:%22405%22,%22TagCategories%22:%222150,2000,%2,%22StoryTypes%22:%2212%22,%22SortOrder%22:%22Popularity%22,%22SortAscending%22:false%7D; უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 10.06.2019;

## ბელა ლაგვილავა

წამყვანი მასწავლებელი

**მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა. დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში ( ინკლუზიურ ჭრილში)**

სკოლის წარმატებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმაპირობებელი მისი სასწავლო გარემოა. სასწავლო გარემო გავლენას ახდენს მოსწავლის მორალურ განვითარებაზე და მის ღირსეულ პიროვნებად და მოქალაქედ ჩამოყალიბებას უკავშირდება.

დიფერენციაციის თეორია ეყრდნობა დასკვნას, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს (კ. ტომლინსონი). ამ დასკვნის საფუძველზე დიფერენციაციის თეორია გვთავაზობს სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს, განსაკუთრებული პირობები შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს კარგად სწავლისთვის. დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას:

1. მასწავლებელმა ზუსტად იცის, რა არის მნიშვნელოვანი გაკვეთილში;
2. მასწავლებელი აცნობიერებს, აფასებს და ეყრდნობა მოსწავლეთა შორის განსხვავებას;

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ახდენს შემდეგი კომპონენტების მოდიფიცირებას: ·სასწავლო მასალების; ·სასწავლო რესურსების; ·საწავლო გარემოს. მოდიფიკაცია სამი ძირითადი ასპექტის გამოა აუცილებელი:

1. სწავლის შესაძლებლობა; 2. სწავლის მოტივაცია; 3. სწავლის ეფექტიანობა.

ფაქტია, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია. არ არსებობს “სტანდარტული” მოსწავლე და არ არსებობს იდეალური ხერხი, რომლითაც მასწავლებელი ყველა მოსწავლის პრობლემებს გაუმკლავდება.

**1. ტექსტის მოდიფიცირება.**

თუ ს.ს.ს.მ. მოსწავლე ვერ კითხულობს -ვერ ცნობს/ვერ ასახელებს ასოებს.საგაკვეთილო პროცესში მისი ჩართულობა წიგნის ფურცვლით რომ არ შემოიფარგლოს,საჭიროე გაკეთდეს ტექსტის აუდიო ჩანაწერი. ტექსტს გაკვეთილზე ის ამ ყურსასმენების საშუალებით მოისმენს.მოსწავლე არ არის დამოკიდებული სხვებზე, დამოუკიდებლად გაიგებს ტექსტის შინაარსს

**2. ონლაინ რესურსებზე მუშაობა.**

თემის/საკითხის დასრულების შემდეგ სასურველია მასწავლებელმა შექმნას ონლაინ რესურსები learningap - ში.

რიცხვების მარულა

რესურსი მორგებულია ს.ს.ს.მ.მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტს

რესურსის აღწერა - რესურსი შედგება რამდენიმე კითხვისა და 4 სავარაუდო პასუხისგან

გამოყენების ინსტრუქცია -კონკრეტული მოსწავლე ამ რესურსის გამოყენებას ვერ შეძლებს დამოუკიდებლად მეწყვილის გარეშე. იმისათვის რომ მოსწავლემ რესურსის გამოყენება შეძლოს, აქტიური უნდა ჰქონდეს ინტერნეტ კავშირი. საძიებო ველში უნდა შეიყვანოს შემდეგი მისამართი: https://learningapps.org/watch?v=ptmroh25c18

ეკრანზე გამოჩნდება დავალების ინსტრუქცია, შემდეგ გამოჩნდება პირველი კითხვა. ეს რესურსი ძალიან ჰგავს ცხენების დოღს..თითოეულ კითხვაზე სწორი პასუხის შემთხვევაში მოთამაშე დაწინაურდება ამას ხედავს მისი მოცემულია კითხვები და 4 სავარაუდო პასუხები,მოსწავლემ უნდა შეკრიბოს რიცხვები მათემატიკური სათვლელების (საანგარიშო, ჩხირები, მანიპულატივები) გამოყენებით და მისთვის სასურველ პასუხზე მიიტანოს კურსორი და დააწკაპუნოს.სწორი პასუხი მწვანედ აინთება, არასწორის შემთხვევაში ეკრანზე ეკრანზე გამოჩნდება სწორი პასუხი.ბოლომდე სწორად შესრულების შემთხვევაში, მოგებულ მოთამაშეს ფინიშთან გამოუჩნდება გამარჯვების ალამი.

https://drive.google.com/drive/folders/1-y-bCHLdWBJ2noEO1zMTObnF45VSRry4?usp=sharing

რესურსი წარმოადგენს ამობეჭდილ კომიქსის მზა შაბლონს,ცარიელი დიალოგური ფანჯრით. მოსწავლე ილუსტრაციაზე და ტექსტის შინაარსზე  დაყრდნობით აღწერს რესურსს და კომიქსის დიალოგურ ფანჯარაში ჩახატავს საკუთარი დამოკიდებულების შესაბამის სიმბოლოს(გული,სევდიანი სიცილაკი და ა.შ)

**დაალაგე ზრდადობით**

https://learningapps.org/view6739804

მოცემულია ფოტოები ჩიტების გამოსახულებით.ფოტოებზე მათი რაოდენობა იზრდება. მოსწავლემ ღერძზე უნდა დაალაგოს  ილუსტრაციები ჩიტების რაოდენობის ზრდის მიხედვით

**დაალაგე  ზრდადობით/კლებადობით**

https://learningapps.org/view6739747

https://learningapps.org/view6739735

მოცემულია რიცხვები 1-დან 5-ის ჩათვლით.მოსწავლემ ღერძზე უნდა დაალაგოს  რიცხვები ზრდადობა/კლების მიხედვით

https://learningapps.org/view6739574

მოცემულია ილუსტრაციები და რამდენიმე ახალი სიტყვა,რომელიც ტექსტიდან გამომდინარე ისწავლა ს.ს.ს.მ.მოსწავლემ .მოსწავლემ ილუსტრაცია უნდა შეუსაბამოს ნასწავლ სიტყვებს

https://learningapps.org/view6739689

მოცემულია ღერძი და ილუსტრაციები,ტექსტის მოსმენის შემდეგ მოსწავლემ ღერძზე ილუსტრაციები უნდა დალაგოს სწორი თანმიმდევრობით

საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის უნარების დახვეწაში კიდევ ერთი ახალი რესურსია - „ვისწავლოთ თამაშით“.მოსწავლეს შეუძლია  ტექსტის შესაბამის ილუსტრაციის შექმნა, ხმების დადება, ფონის შეცვლა, შეუსაბამებს გამოსახულებებს,ასეთ დავალებებს დამოუკიდებლად ასრულებს toondoo.com - ში და googledrow - შიც.

ამგვარად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეფექტური სასწავლო აქტივობები,სტრატეგიები და მიდგომები ცვლის მოსწავლის დამოკიდებულებას სწავლა-სწავლებისადმი,ზრდის მის ჩართულობასა და მოტივაციას,უვითარდება შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება,ტექნოლოგიების ფლობის უნარები.ის ხდება კლასის ნაწილი


## ნატალია ბოჭორიძე

სპეც. პედაგოგი


### თანამედროვე მიდგომები ინკლუზიურ განათლებაში

სწავლისადმი და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა ჩემი სკოლის და ადმინისტრაციისთვის უმთავრესია. ჩვენთვის მოსწავლის აკადემიური და სოციალური წარმატებები მთავარი ღირებულებაა. ყველა ვინც სასწავლო პროცესშია ჩართული ,მასწავლებელი, ადმინისტრაცია და მშობლები. ამ მიზნის მიღწევისკენ მიმართავს და შესაბამისად სკოლაში თანამშრომლობის, ურთიერთ-დახმარების და პატივისცემის გარემო იქმნება. ინკლუზიური განათლება, თავისი არსით სწორედ ასეთ დამოკიდებულებას გულისხმობს ყველა მოსწავლის მიმართ და აღიარებს, მიუხედავად ინდივიდუალური განსხვავებებისა. აქცენტი კეთდება მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივი სწავლის მნიშვნელობაზე, ყურადღების ცენტრში ექცევა ბავშვი. სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო ხასიათდება თბილი, მეგობრული მასწავლებელი ზის ან დგას ბავშვის გვერდით და ესაუბრება ღიმილით. იგი ასევე აკმაყოფილებს ჩვენი მასწავლებლების საჭიროებებსა და ინტერესს, რამდენადაც ჩვენ გვინდა და შეგვიძლია მოსწავლეებისათვის საუკეთესო განათლების მიცემა. რა უპირატესობები აქვს კეთილგანწყობილ გარემოს ინკლუზიური სწავლისადმი, პირველი ის, რომ მეტად თავდაჯერებულები

ხდებიან, უვითარდებათ მაღალი თვითშეფასება , სკოლაში მიღებულ ცოდნას იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბავშვები ხდებიან უფრო კრეატიულები, რაც აუმჯობესებს სწავლის დონეს. ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობის აუცილებლობას მოსწავლეების სწავლების პროცესში. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების და საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება, რასაკვირველია სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს .ყველას მიმართ სწავლებისა და ქცევის მართვის ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება უარყოფს ბავშვებს შორის განსხვავებულობას და მათ ინდივიდუალობას. მასწავლებლებს ეძლევათ ახალი იდეების შესწავლის მეტი საშუალება, როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის გარეთ .ასეთი იდეების გამოყენებით მათ შეუძლიათ მოსწავლეთა დაინტერესება და წახალისება. მასწავლებლები განიცდიან მეტად კმაყოფილებას როდესაც ყველა ბავშვი მაქსიმალურად არის ჩართული სასწავლო პროცესში და ავლენს საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმი. უპირატესობები მშობლებისათვის აისახება მასში, რომ სწავლისადმი კეთილგანწყობილ გარემოში მშობლები იღებენ მეტ ინფორმაციას საკუთარი შვილების განათლების შესახებ. ისინი პიროვნულად ხდებიან ჩართული პროცესში და გრძნობენ მეტ პასუხისმგებლობას ,როდესაც მასწავლებელი მათ ეკითხება აზრს მათივე შვილების განათლების შესახებ, ისინი სწავლების პროცესში მონაწილე თანასწორუფლებიან პარტნიორებად გრძნობენ თავს და სწავლობენ სახლში ამ ხერხების გამოყენებას, რომელსაც მასწავლებელი იყენებს. უპირატესობები აქვს აგრეთვე საზოგადოებას, თავად საზოგადოება მეტად ერთვება სკოლის ცხოვრებაში და უმჯობესდება უკუკავშირი სკოლასა და საზოგადოებას შორის. ჩვენი სკოლა ნამდვილად არის ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობის მაგალითი, რადგან არის ათასწლეულის გამოწვევის ფონდის სკოლა და გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად, მკვეთრად შეიმჩნევა მასწავლებლების, ბავშვების, მშობლების და საზოგადოების პოზიტიური ცვლილებები. ამის შემდეგ ჩვენ უკვე ვიცით კიდევ რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ სრული ინკლუზიის მისაღწევად. სკოლაში არის სასკოლო პანდუსი სკოლაში შესასვლელად, რესურს ოთახი განმავითარებელი რესურსებით, ადაპტირებული საპირფარეშო ოთახი და ჯანსაღი სუფთა გარემო. ჩვენი რესურს ოთახი აღჭურვილია განათლების ხელშეწყობისათვის აუცილებელი ყველა თვალსაჩინოებითა და ტექნიკური საშუალებით. ამ მხრივ ჩემს სკოლას ვთვლი წარმატებულად, რადგან უზრუნველყოფილია სწორად დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პირობებში, თითოეულ ჩემს მოსწავლეს ეძლევა საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების შესაძლებლობა. ჩემს სკოლაში ადმინისტრაციამ შეძლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შესაბამისი მხარდაჭერა. მათ კარგად აქვთ გააზრებული ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა, მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო პროგრამების, გაკვეთილების და სასკოლო აქტივობების ადაპტირება სხვადასხვა მდგომარეობისა შესაძლებლობების მქონე ბავშვების საჭიროებათა გათვალისწინებით. არიან გახსნილი სწავლის, ადაპტირების, ცვლილებებისა და ექსპერიმენტებისთვის. ჩვენი მასწავლებლებისათვის ნათელი გახდა, რომ ,ქცევის მართვის სტრატეგიების და საკლასო გარემოს კეთილგანწყობისთვის და მისი განხორციელებისთვის „ერთადერთ“ გზას წარმოადგენს თავდადება , მძიმე შრომა და ახალი ცოდნის ათვისება. თანამედროვე მიდგომებით ინკლუზიურ განათლებაში გუნდური მუშაობა წარმატების გარანტიაა, რაც გულისხმობს მშობლის, მასწავლებლის და სხვა სპეციალისტების ერთობლივ ორგანიზებულ შრომას. დღეს, განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები, ერთ სივრცეში სწავლობენ, დიფერენციაციის საკითხები უფრო მაღალ დონეზე მოგვარდა სკოლებში, იქ სადაც სპეციალური მასწავლებელი და რესურს-ოთახია. დღევანდელი ჩემი სკოლა ნამდვილად ემსახურება სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეების განათლების და მათი ინტეგრაციის პროცესს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

„ვისწავლოთ ერთად ინკლუზიური განათლება” 2008 წ.

**თამარ ჭინჭარაული**

სსსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ლაფანაანთკარისსაჯარო სკოლის
გეოგრაფიის მასწავლებელი

## სწავლების მეთოდები

## (მასწავლებელო, მე ეს შევძელი!)

რატომ არის საჭირო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი განსხვავებული მეთოდები სწავლისთვის? როგორ ვასწავლოთ? ეს არის კითხვა,რომელზეც ყველა ეპოქის ნამდვილ მასწავლებელს ღამეებიც კი გაუტეხავს ... პასუხი კი დროის და მოთხოვნილების შესაბამისი გაუცია.ცნობილია,რომ ცნება „სწავლების მეთოდები“ მოიცავს დიდაქტიკურ ძიებებს, სწავლების პროცესში განსახორციელებელი ეტაპების დროში განაწილებას, ურთიერთობის ხასიათს, ანუ მასწავლებლისა და მოსწავლის როლების ურთიერთ დამოკიდებულებას, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრასდა ა.შ. პედაგოგიურ პრაქტიკაში სხვადასხვა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ცნობილია, რომ მოსწავლეები უფრო ინტერესით და ხალისით სწავლობენ,თუ მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან სასწავლო მეთოდებს. ასევე მნიშვნელოვანია ამ მეთოდების გამოყენების სისტემატიური ცვლა ან გონივრული შეკავშირება,რადგან მეთოდთა ურთიერთშერწყმით საგაკვეთილო სივრცეში მიიღწევა სასურველი შედეგი ,რაც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. დღეს სწავლა-სწავლების მეთოდების მრავალგვარი კლასიფიკაცია და ვარიანტებია შემუშავებული. სასწავლო დისციპლინების უმრავლესობა მსგავს მეთოდებს იყენებს,მაგრამ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე სწორად შერჩეული და ასაკობრივ ჯგუფზე მორგებული მეთოდი მოსწავლე-მასწავლებელს შორის შემდგარი ეფექტური კომუნიკაციის წინაპირობაა.თანამედროვე ე.წ. „ინდიგო“( მელნისფერ-იისფერ აურიანები/ /ინდიგო მცენარეა,რომლისგანაც ანალოგიური ფერს იღებენ) თაობის მნიშვნელოვან ნაწილს ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეში რატომღაც ჯერ ვერ დახვდა თანდაყოლილ ელექტრონულ უნარებზე მორგებული გარემო. იმისათვის რომ მათ არ გაუჩნდეთ ნეგატიური განწყობა-დამოკიდებულება ამა თუ იმ საგანში წლების წინ შედგენილი გრიფ მინიჭებული სახელმძღვანელოების მიმართ(ვრცელი ტექსტები,რთული ცნებები) ძალზედ მნიშვნელოვანია მასწავლებელმა შეიმუშაოს ე.წ.„ოქროს სტანდარტი“ -ანუ სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები/მიდგომები გამოიყენოს ისე, რომ ძველი წინააღმდეგობაში არ მოვიდეს ახალთან. ტექნოლოგიების საუკუნეში ინფორმაცია სწრაფად განახლებადია და შესაბამისად ცოდნაც დაძველებადი. გეოგრაფია,როგორც საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანი მუდმივად უნდა იდგეს ახალ-ახალი ინფორმაციის სადარაჯოზე,წინააღმდეგ შემთხვევაში ის მოსწავლისთვის უინტერესო და „დრომოჭმულ“ საგნად გადაიქცევა. გეოგრაფიის სწავლებისას განსაკუთრებით აქტუალურია შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი ;
- წიგნზე და რუკაზე მუშაობის;
- წერითი მუშაობის;
- დისკუსია;
- პრობლემაზე ორიენტირებული;
- ლაბორატორიული და დემონსტრირების;
- როლური და სიტუაციური;
- თანამშრომლობითი;
- შემთხვევის ანალიზი და ა.შ.

სწავლების მეთოდის შერჩევისას მასწავლებელმა ზუსტად უნდა **განსაზღვროს** გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი. აგრეთვე რა შეუძლია,რისი გაკეთება უნდა შეძლოს, ან საამისოდ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ? მეთოდის შერჩევისას პედაგოგმა აგრეთვე უნდა **გაითვალისწინოს:** შერჩეული მიდგომა რამდენად რელევანტურია დასახული შედეგის მიღწევაში.შეესაბამება თუ არა შერჩეული მეთოდი საგაკვეთილო თემას და აქტივობას , მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას(რადგან ზემოთხოვნებმა მოტივაციის ზრდის ნაცვლად მოსწავლეებს შესაძლოა მოტივაცია დაუკარგოს).რეალურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება არსებულ სასწავლო სივრცეში; თანაბრად ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები/რამდენად უსაფრთხოა სასწავლო სივრცე?

შესაძლებელია თუ არა არსებული რაოდენობის მოსწავლით მეთოდის ეფექტიანად განხორციელება. ძალზედ საყურადღებო პედაგოგმა  დაიცვას გენდერული ბალანსი.

იმისთვის, რომ მოსწავლემ თანაკლასელებთან და პედაგოგთან ერთად წარმატებით  გამოიყენოს სწავლების მეთოდები, აუცილებელია სწავლის ეფექტური სტრატეგიების  დაუფლება.რომელიც გულისხმობს შემეცნებითი პროცესების მიზანმიმართულ გამოყენებას სწავლის დროს. იგი აიოლებს ახლად მიღებული ინფორმაციის აღქმას, გადამუშავებას და გონებაში შენახვას. სწავლის ეფექტური სტრატეგიები, როგორებიცაა, მაგალითად, ინფორმაციის ორგანიზება, დამუშავება, შეჯამება და დასკვნების გამოტანა, ჩანაწერების გაკეთება, საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი, სამუშაოს განაწილება-დაგეგმვა და სხვა, მოსწავლეს მაღალ სააზროვნო უნარებს (ტრანსფერის უნარს, ანალიტიკურ, შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას) უვითარებს.შეიძლება ითქვას, რომ სწავლების მეთოდები, სწავლის სტრატეგიები და მრავალფეროვანი აქტივობები ერთი მთლიანი ჯაჭვის შემადგენელი მნიშვნელოვანი  რგოლებია,რომლის უწყვეტობა თანამედროვე სწავლების და სწავლის ეფექტურობაზე მეტყველებს. გეოგრაფიის სწავლებისას განსაკუთრებით  არ უყვართ მოსწავლეებს ვრცელი ტექსტები. „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა“, მათთვის საინტერესო რომ გახდეს  მასწავლებელმა თითო-ოროლა, კი არა სწავლების  რამდენიმე მეთოდი უნდა შეიმუშაოს. მაგალითად, **დისკუსისის**  დროს პედაგოგმა სასურველია დასვას შეკითხვები : ა) რა უფრო სურდათ მაგელანის და კოლუმბის ექსპედიციებს  თვალსაწიერის გაფართო თუ საკუთარი ქვეყნის ბიზნეს გეგმის  განხორციელება? ბ)სამართლიანია თუ არა დიდი გეოგრაფიული ეპოქის შემქმნელ  ვაჭრებს და  მოგზაურებს მიენიჭოთ გეოგრაფის სტატუსი?  გ) რამ განაპირობა საქართველოდან გაქცეული დამნაშავე  ძმები მოლაშხიების კოლუმბის ექსპედიციაში მოხვედრა და რამდენად უსაფრთხო იყო ამგვარი შერჩევის პრინციპით შემდგარი ეკიპაჟთან საქმის დაჭერა ?  დ)ვის მიიჩნევთ ამერიკის აღმომჩენად კოლუმბს, ამერიგოს თუ ვიკინგებს?(არგუმენტების გამყარება სასურველია სკანდინავიური საგა და სხვა კლასგარეშე ლიტერატურის გამოყენებით).  ასეთი პრობლემატური კითხვები უდაოდ დააფიქრებს მოსწავლეებს.  პასუხები ხშირ შემთხვევაში  გადაიზარდება კამათში.  ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით.  თვით მოსწავლეებშიც  გაჩნდება ადეკვატური კითხვები, პედაგოგი კი მედიატორის ფუნქციას შეასრულებს და  კონსესუსამდე მიიყვანს კლასს. აღნიშნული მეთოდი  მოსწავლეს უვითარებს არგუმენტირებული მსჯელობის, საკუთარი აზრის დასაბუთების  უნარს და სხვისი აზრის  პატივისცემას. ამ საკითხთან მიმართებაში აგრეთვე  ძალზედ ეფექტურია როლური და სიტუაციური მეთოდის გამოყენება. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები მოსწავლეს საშუალებას აძლევს უკეთ აღიქვას რეალობა და გაუღვივოს ემპათია(თანაგანცდა). თემის შესაბამისად როლები შესაძლოა გადანაწილდეს შემდეგნაირად:  მთხრობელი,კაპიტანი,ეკიპაჟის წევრები, მზარეული, აბორიგენები და ა.შ.  სიტუაცია ვითარდება  ახალ აღმოჩენილ მიწაზე,  ინდიელებმა  ევროპელები მიიღეს სტუმარ-მასპინძლობის ყველა წესისი დაცვით,  მზაკვრული განზრახვის  მიუხედავად მზრუნველობა და პატივისცემა არ დაიშურეს;  ღამისგასათევი მისცეს,უმი  ლობიოს ჭამა არ ურჩიეს,მოახარშვინეს მზარეულს  და ისე დააგემოვნებინეს, თავის და კბილის ტკივილის დროს თამბაქოს მოწევა შესთავაზეს . დღეს სწორედ კოლუმბს უმადლიან  ევროპელები ამ პროდუქტების დაგემოვნებას/დამკვიდრებას.

**თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. მაგ. თუ მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს მოამზადონ პრეზენტაცია Pover Point-ში  თემაზე „მოგზაური ქალები“(რითაც მოხდება გენდერული საკითხის  წინა პლანზე წამოწევა მოქმედ სახელმძღვანელოებში),ან „გეოგრაფიის წვლილი მოდის განვითარებაში“ თითოეული ჯგუფის წევრი,მათ შორის ყველაზე ზარმაცი და გაუბედავი მოსწავლეც  კი გულმოდგინედ იმუშავებს  და საფუძვლიანად  დაეუფლება საკითხს. **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** -  საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეთა  პროვოცირებისთვის. დასმულ კითხვაზე - იცით რა ექვა ძველად ალაზანს?(საამურა),ან რას ეძახდნენ იაპონელები კ.სახალინს? (კარაფუტუ)მანამ,სანამ რუსეთი წაართმევდა, ან რას ნიშნავს კოალა(წყალს არ ვსვამ),რას ნიშნავს კენგურუ(არ ვიცი,თქვენი არ მესმის)  მართალია  ამ თემებზე აღმზრდელის მიერ ზეპირსიტყვიერად გადმოცემული ამბავი  მზაა, მაგრამ მეხსიერების მეტ „დიაპაზონზე გადის“.  **წერითი მუშაობის მეთოდი,** ვიზუალისტებისთვის და არა მარტო, მასალის ათვისების შეუდარებელი  ხერხია რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვა. ყოველივე  ქმედითი ნაბიჯი  თანამედროვე საგანმანათლებლო რეალობაში  სახელმძღვანელოების კვლავაც მრავალჯერადად გამოყენების და წარმოჩენის საუკეთესო საშუალებას იძლევა.

ამრიგად,სასწავლო მეთოდების ნაირგვარობა, ინტენსიურობა და სინთეზურობა თვითრეალიზებული და წარმატებული მოსწავლის ჩამოყალიბების გარანტია, მოსწავლის,რომელიც რომელიც ამაყად იტყვის : - „მასწავლებელო,მე ეს შევძელი!

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. „სწავლების და სწავლის ახალი მიდგომები“ -სახელძღვანელო მასწავლებლებისთვის . თბილისი 2004

2. მასწავლებლის წიგნი გეოგრაფიაში - მ.ბლიაძე, გ,ჭანტურია, დ. კერესელიძე ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 2014



## თეა გაგუა

ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის 2-ე კურსის დოქტორანტი

ქ . ქუთაისის № 32-ე საჯარო სკოლის ისტორიის/ სტატუსი: წამყვანი მასწავლებელი


### პროექტებით სწავლა ჩემი აჩევანია

იყო მასწავლებელი და ასწავლო სხვას დიდი პასუხისმგებლობაა ისევე როგორც საკუთარი თავის, ასევე იმ ადამიანების მიმართ ვინც ნდობა გამოგიცხადა და მოგისმინა, ნებით თუ უნებლიედ გადაწყვიტა, რომ შენ ყოფილიყავი მისთვის ავტორიტეტი, გეჩვენებინა გზა და მიგეცა მიმართულება, რაც მის პიროვნებად ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. მოსწავლის აღზრდა–განათლების, ჩამოყალიბების პროცესში დიდი როლს თამაშობს ის სოციუმი და გარემო, სადაც მას ურთიერთობა აქვს. არიან სხვადასხვა უნარ–ჩვევების , შესაძლებლობის და ნიჭის მქონე ბავშვები, საჯარო სკოლაში ისინი ერთად ჯგუფებად არიან და ადაპტირდებიან იმ გარემოში, რომელიც შეიძლება ბევრი მათგანისთვის მიუღებელიც იყოს, ხშირად მათთვის კონკრეტული საგნებიც კი უინტერესოა,

სად ვეძებოთ მიზეზი? ამ მიზეზების ძებნაში ალბათ ბევრი მოსწავლის შინაგანი სამყარო და ფსიქოლოგია კარგად უნდა შეისწავლოს პედაგოგმა , ან მოძებნოს სტრატეგიული გზა, რომ უმტკივნეულოდ და ძალდატანების გარეშე , მარტივად და ხალისით გააკეთებინოს ის, რაც რთული ეჩვენება ან საერთოდაც არ აინტერესებს. ეს არის მეთოდი : „პროექტებით სწავლა“ , სასწავლო პროცესი არაფორმალურ გარემოში , ყველაზე მიგნებული და მართებული გზა პრობლემის გადასაჭრელად , რთულია სტანდარტულმა რუტინამ გააღვიძოს მოსწავლეთა მოტივაცია და სურვილი , რომ ჩაერთონ სასწავლო პროცესში, მოეძებნონ თავისი როლი, აიღონ გარკვეული პასუხისმგებლობა, მოახდინონ საკუთარი ნიჭის რეალიზება და სასწავლო გარემო გახდეს მათთვის უფრო საინტერესო და სახალისო.

პროექტული სწავლების ხანგრძლივმა ისტორიამ და თითოეულმა პროექტმა თავისი სათქმელი ნამდვილად თქვა, რაც მთავარია საშუალება მისცა მოსწავლეებს გამხდარიყვნენ დამოუკიდებელი პიროვნებები, კრიტიკულად მოაზროვნეები, შეძლებოდათ თავსმოხვეუ,ლი აზრების იგნორირება, ჰქონოდათ არგუმენტირებული და დასაბუთებული საკუთარი პოზიცია, ეს ყველაფერი კი მათ საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას აქტიურად შეუწყობდა ხელს

პროექტული სწავლება არის ერთობლივი მუშაობის ფორმა, რომლის დროსაც გარკვეული ჯგუფის მუშაობა წარიმართება წინასწარ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად და გარკვეული ფუნქციების დელეგირების პროცესში ყველა თავისი საქმის აღსრულების ხარისხზეა პასუხიმგებელი, მიღებულ შედეგში კი ყველას თანაბარი წვლილი მიუძღვის , ტრადიციული სწავლება მიმდინარეობს დახურულ კარს მიღმა, რაც ხშირ შემთხვევაში მოსაბეზრებელიცაა, რადგან ერთფეროვნება აუცილებლად ითხოვს რაღაც ახალს, კრეატიულს. პროექტებით სწავლა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გავიდნენ სასკოლო შენობის გარეთ და ითანამშრომლონ სოციუმთან. ცოდნის ტრანსფერი ყოველდღიურ გარემოში არის ძალიან მნიშვნელოვანი . კვლევებმა აჩვენეს, რომ საგნების იდეების დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, კავშირი ნასწავლ მასალას და მის გამოყენებას შორის არის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ერთ–ერთი საუკეთესო გზა.

- პრობლემის განსაზღვრა
- პროექტის მიზნები
- მოსამზადებელი პერიოდი
- განხორციელებული აქტივობები
- რისკ ფაქტორები
- მიღწეული შედეგები
- რესურსები

ეს არის ძირითადად ის ეტაპები , რომელიც პროექტზე მუშაობის დროს ჯგუფებმა უნდა გაიარონ და შედეგზე გავიდნენ.

**პროექტი: „ვირჩევთ ისტორიულ პერსონაჟს“** აქ პრობლემა შემდეგნაირად გამოიკვეთა სასკოლო სახელმძღვანელო ბევრ საინტერესო ისტორიულ პერსონაჟს აცნობს მოსწავლეებს , მაგრამ მასალა მწირია და არასაკმარისი. ამ პრობლემის მოგვარება მასწავლებელს რათქმაუნდა შეუძლია საფუძვლიანად მიწოდებული კლასგარეშე მასალით, მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირულად აგვარებს საკითხს, რადგან ყველა მოსწავლის ინტერესი საგნის მიმართ არ არის ერთგვაროვანი, რთულია ყველა დააინტერესო და გაუღვიძო სურვილი .....პროექტი კი ყველაზე მარტივად ჭრის ამ პრობლემას. აღნიშნულ პროექტში მიზანი შემდეგნაირად განისაზღვრა: ცოდნის გაღრმავების, ინტელექტუალური თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, სასურველი პერსონაჟის შესახებ ინფორმაციის მოძიება და ხარისხება ინტერნეტის, კლასგარეშე ლიტერატურის, ენციკლოპედიის საშუალებით, თითოეული პიროვნების როლის და ადგილის განსაზღვრა ისტორიულ დროში , მათი შეფასება და ანალიზი

**პროექტი: „პირველი ნაბიჯი ოცნებისკენ“** აქ პრობლემა შემდეგნაირად გამოიკვეთა: ადამიანი ყველა ასაკში ოცნებობს, მოზარდები ოცნებობენ სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობაზე , იქ სწავლის გაგრძელებაზე , მოსწონთ მათი კულტურა და ტრადიციები, იზიდავთ ღირშესანიშნაობები, ბევრს აზია და აფრიკა მოსწონს, ბევრს კი ევროპა და ამერიკა. სურვილი ქვეყნების მონახულების დიდია, მაგრამ ინფორმაცია ნაკლები. პრობლემაც სწორედ ეს არის: სხვისგან გაგონილი, სხვისგან მოსმენილი, ფილმებში ნანახი ან უბრალოდ აკვიატება. ეს ყველაფერი საკმარისი არა არის, რომ ქვეყანა საინტერესო იყოს, პრობლემას მხოლოდ სიღემისეული ისტორიულ–გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული კვლევა სჭირდება სასურველი ქვეყნის ძირფესვიანი შესწავლა რომ შეძლო აღნიშნულ პროექტში მიზანი შემდეგნაირად განისაზღვრა: პროექტის საშუალებით სიღრმისეული ცოდნის მიღება სასურველი და საოცნებო ქვეყნის დაარსების ისტორიის, მმართველობის ფორმების, დინასტიების, ტრადიციების, კულტურის, ეთნოსის, სამზარეულოს, ღირშესანიშნაობების, განათლების კერების შესახებ

**პროექტი: „ვეძებ თანამოაზრეს”:** აქ პრობლემა შემდეგნაირად გამოიკვეთა: სასწავლო პროგრამებში არასაკმარისი მასალა ანუ მწირი ინფორმაცია გაეროს ნატოს და ევროკავშირის სესახებ, საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ არასწორი ხედვა და თავსმოხვეული სხვისი შეხედულებების პატივისცემა. მოსწავლე– ახალგაზრდებში სიღრმისეული ინფორმაციის დეფიციტი და არაინფორმირებულობიდან გამომდინარე არაობიექტური შეფასებები , დასავლური ღირებულებების უარყოფა მენტალობის გაქრობის შიშით და გაურკვევლობაში ყოფნა

აღნიშნულ პროექტში მიზანი შემდეგნაირად განისაზღვრა: თანამოაზრეებთან ერთად ინფორმაციული თვალსაწიერის გაზრდა სხვადასხვა გზებით და საშუალებებით, ევროპული ღირებულებების შეფასება და ანალიზი საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს, ნატოს, ევროკავშირის შესახებ) საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებთან მიმათებაში პოზიციის გამომუშავება და არგუმენტირებულად დაცვა. პროექტზე მუშაობისას მასშტაბურობა და ჩართულობის მაჩვენებელი ძალიან მნიშვნელოვანია. რაც უფრო მეტ მოსწავლეს დააკავებ პროექტში ,მით მეტ კეთლშობილ საქმეს აკეთებ, ამით მათ საშუალებას აძლევ ითანამშრომლონ სხვადასხვა კლასის მოსწავლეებთან ერთობლივად გადაჭრან პრობლემები, მიიღონ მეტი ცოდნა, ასევე მნიშვნელოვანია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა, თანმიმდევრობის დაცვა, რათა არ დაირღვეს პროექტის სტრუქტურა და განსაზღვრულ დროში მოხდეს ყველა აქტივობის შესრულება,

შედეგები: პროექტზე მუშაობის პროცესში მიღებული ცოდნით ფასდაუდებელი საქმე კეთდება, მით უფრო თუ ის სიცოცხლისუნარიანია. აღნიშნული პროექტებიდან არსებობს საკლასო სტენდები, ინფორმაციული პორთფოლიო, სლაიდები, ფილმები, დისკები, სიმბოლური ხელნაკეთი წიგნები, რაც მთავარია ცოდნა და საინტერესოდ გატარებული დღეები სასკოლო სივრცეში,

მსგავსი ტიპის საგანმანათლებლო ნაბიჯები აუცილებელია , ავსებს და ახალისებს სასწავლო გარემოს. აყალიბებს ჯანსაღ, აქტიურ, მეგობრულ ურთიერთობას მოსწავლე მასწავლებელს შორის და ისევე როგორც მათ უწყვეტ განათლებას უწყობს ხელს, არამედ მასწავლებელი, როგორც პროფესიონალი კიდევ უფრო მეტად იზრდება და ჩართულია იმ ფერხულში , რასაც თანამედროვე გამოწვევები ქვია.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1) **„სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, როგორც საკვანძო კომპეტენციების** ჩამოყალიბების საშუალება/ **სტატია** (მევლუდ ვერულაშვილი, დემურ თედორაძე)აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

2) **„შენი არჩევანი, შენი წინსვლა"** (ცნობარი) პროექტის ხელმძღვანელი ლიუდმილა კლოტსკი–თბ. შპს „საარი"2008 (ელექტრონული რესურსი **http://www.nplg.gov.ge**)

3) **„როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტ–გაკვეთილი"** (სოფიო ლობჟანიძე)

4) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი:(**www.tpdc.ge)**



## ხათუნა ქუმელაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერი
სსიპ დავით სარაჯიშვილის სახ. №16 საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი


### პროექტებზე დამყარებული სწავლება

დაწყებით საფეხურზე, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლის ინტერესის სტიმულირება, მოტივაციის გაძლიერება, "ენობრივ და კულტურულად მრავალფეროვან სფეროში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზებისათვის" მოსწავლეთა უცხოური ენის ცოდნით მომზადება. (თავი XIV - უცხოური ენები, მუხლი 67, შესავალი). არადა, კვლევებით დასტურდება, რომ მოსწავლეებს უჭირთ კომპლექსური ხასიათის ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა და მათ მიერ გამოვლენილი ინტერესი არ ქმნის ეფექტურ სასწავლო გარემოს, არ იძლევა მაღალ აკადემიურ შედეგებს.

**პრობლემის წარმოჩენა**

მასწავლებლების მიერ გამოყენებული აქტივობების ძირითადი ნაწილი ემსახურება საგაკვეთილო, კონკრეტული ტიპის ცოდნის გადაცემას. ხოლო ისეთი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევების განვითარებასა და თავისუფალი არჩევანის გაკეთებას, შემოქმედებითობასა და სხვა დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ენის ეფექტიანად სწავლის უნარ-ჩვევების განვითარებას, (რაც უცხოური ენების სწავლების პრიორიტეტულ მიზნებს წარმოადგენს), ნაკლებადაა გამოყენებული.

დღევანდელ მოსწავლესთან მიმართებით არსებულ პრობლემებს ინტერნეტ დამოკიდებულებაც ემატება. მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი დროს კომპიუტერთან მხოლოდ/ან უმეტესად გართობისათვის იყენებს. მაშ, როგორ უნდა შეძლოს მასწავლებელმა, რომ ერთდროულად მოხდეს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენებისათვის და ამავე დროს, მოხდეს კომპიუტერის, ელექტრონული რესურსების მიზნობრივად გამოყენების ხელშეწყობა.

კონკრეტული პრობლემის გადაჭრა მასწავლებელს შეუძლია მეტად საინტერესო და ეფექტური

„პროექტებზე დაფუძნებული სწავლებით“, რითაც მოხდება უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენებისათვის მოსწავლეთა მოტივაციისა და კომპლექსური ხასიათის ამოცანებების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარის განვითარება.

**პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზები**

„პროექტებზე დაფუძნებული სწავლება“ - ესაა მეთოდი, რომელიც უვითარებს მოსწავლეებს კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და ასევე, საკომუნიკაციო უნარებს. სწავლების პროცესში, როდესაც მასწავლებელი იყენებს ამ მეთოდს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ხელს უწყობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც ნიშნავს: ცოდნის კონსტრუირებას, სწავლის პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, პრობლემის გადაწყვეტასა და ინოვაციურობას, თვითრეგულირებას, თანამშომლობასა და კომუნიკაციას. ხოლო მუშაობის პროცესი ხდება უფრო სასიამოვნო და ამ პროცესში მოსწავლე დგება აქტიური შემმეცნებლის როლში. კვლევებით დასტურდება, რომ მოსწავლეები უფრო ადვილად ინარჩუნებენ ამ მიდგომით მიღებულ ცოდნას, ვიდრე ტრადიციულ სახელმძღვანელოზე ორიენტირებული სწავლის გზით.

**მაგალითები**

პროექტებით სწავლების დროს მნიშვნელოვანია საჭირო და აუცილებელი ინტერვენციების გატარება, რომელიც გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. კერძოდ, მოსწავლეთათვის დაგეგმილი პროექტის სტრუქტურის, მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობა საკითხის უკეთესად აღქმისა და გააზრებისათვის, პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის - გეგმის/განსახორციელებელი ეტაპების შემუშავება საგნობრივი მიზნების შესაბამისად. განსახორციელებელი პროექტის მიზნისა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობა და მოსწავლეებთან ერთად, პროექტის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმების ჩამოყალიბება/გათვითცნობიერება. მ**იმართულება: უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება (მედიაცია)**

სწორად შერჩეული აქტივობები, სტრატეგიები განაპირობებს მოსწავლეთათვის, პრექტის მსვლელობის დროს შესაძლო „შფოთვის“ შემცირებას/აღმოფხვრას. ამ აქტივობებში კი იგულისხმება უფრო მეტი დრამისა და ხელოვნების სწავლება, როლური თამაშები, დისკუსიები (**Incorporate drama and art into teaching**). რაც ამავე დროს, **განსხვავებული მოსაზრებების**, საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთება/მსჯელობა და ასევე, განსხვავებული აზრის მოსმენა/მიღების უნარის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

**პროექტების სწავლების დროს მოსწავლეებს უვითარდებათ** საკუთარი/სამუშაო სივრცის **გაწმენდა/მოწესრიგების,** ორგანიზაციული უნარ-ჩვევები. (**Help a child clean up his space; demonstrate organizational skills** ). რაც, ასევე, გაკვეთილზე გამოყენებული სიტუაციური ამოცანების საშუალებით მასწავლებელს შეუძლია მასწავლებელს გამოაკვეთინოს მოსწავლეს პრობლემა და ამავე დროს, აპოვნინოს მისი გადაჭრის ეფექტური ხერხების/გზები. (უცხ. **მოსწავლეს შეუძლია სასწავლო საქმიანობის ორგანიზება.)**

პროექტებით სწავლება მოიაზრებს მუდმივ დაკვირვებას როგორც თავად პროცესზე, ასევე თვითგამოხატულ უნარებზე, ქცევებზე, აკადემიურ მიღწევებზე. (**Encourage a child to talk out loud to monitor progress). ეს კი ეხმარება მათ** განხორციელებული აქტივობის, შედეგების გაანალიზებაში, ფიქრში თუ როგორ, რა გზების გავლით მიაღწიეს სასურველ შედეგს, ან როგორ უნდა მოიქცნენ რომ მიიღონ შედეგი.

და ბოლოს, (**ICT skills for success in the project)** პროექტის წარმატებულად მართვის ხელშეწყობისთვის საჭიროა საინფორმაციო კომუნიკაცია და ტექნოლოგია (ICT) - მოსწავლეები ივითრებენ პროგრამის/ინსტრუმენტის გამოყენების უნარს (on/off). ტექნოლოგიების გამოყენებით დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილებით იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია და ასევე ხელს უწყობს პროექტით დაგეგმილი აქტივობების წარმატებით გახორციელებაში.

**რეკომენდაციები**

პროექტებზე მუშაობის დროს მოსწავლეს აქტიურად გამოვაყენებინოთ გრაფიკული ორგანიზატორები (**Text organizers)**, რაც წარმოადგენს ვიზუალურ ჩარჩოს ინფორმაციის ორგანიზებისთვის. ეს კი დაეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის გამარტივებასა და აზროვნების უნარის სტიმულირებაში.

და ბოლოს, ინტერვენციების ეფექტურობა და მათი შედეგები განპირობებული უნდა იყოს მოტივაციისა

და სტიმულის ფონზე. თითოეული სიტყვა, ღიმილი უნდა იყოს ნდობის გაღვივების სტიმულატორი. ეს მათ დაეხმარებათ საკუთარი აღიარების მნიშვნელობის გააზრებაში, ნდობაში, შინაგანი მოტივაციის გაღვივებაში.

**დასკვნა**

მოსწავლეები შეძლებენ სწავლა-სწავლების პროცესის განსხვავებული მოდელის ათვისებას, კომპიუტერთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების კიდევ უფრო გაუმჯობესებას. მოხდება სწავლის მოტივაციის ამაღლება და იმოქმედებს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. პროექტებიოთ სწავლის პროცესში მოსწავლეები ადგენენ კავშირს რეალურ ვითარებასთან, ივითარებენ თანამშრომლობით უნარებს, იაქტიურებენ აზროვნებას, ჩამოუყალიბდებათ აღმოჩენის უნარი და განივითარებენ ისტ–კომპეტენციებს.

და ბოლოს, პროექტებით სწავლება გავლენას ახდენს:

**მასწავლებლის**

- სწავლების უნარებზე/სტილზე, მის პროფესიულ განვითარებაზე

**მოსწავლეებს ეხმარება**

- პრობლემის იდენტიფიცირებაში, გადაჭრის გზების ძიების უნარების განვითარებაში; საკუთარი პორტფოლიოს შექმნასა და წარმოჩინებაში; პასუხისმგებლობის გრძნობის გამძაფრებაში

**ხოლო სკოლაში**

- მასწავლებლებს შორის ურთიერთობა ხდება დადებით/თანამშრომლობითი
- ხდება საგნებს შორის ინტეგრირება, საგანთშორის კავშირი
- იზრდება სკოლის საზოგადოების მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა
- მუშაობა ხდება სხვებისთვის სტიმულისა და გეზის  მიმცემი

**გამოყენებული ლიტერატურა**


**ჟურნალი მასწავლებელი**

http://mastsavlebeli.ge/?p=1844

**პროექტებზე დაფუძნებული სწავლება და მისი პერსპექტივები** http://mastsavlebeli.ge/?p=2565

**12 მიზეზი, რის გამოც პროექტზე დაფუძნებული სწავლება უკეთესია, ვიდრე ტრადიციული საკლასო სწავლება**

https://elearningindustry.com/project-based-learning-better-traditional-classroom

**გრაფიკული ორგანიზატორები**

https://education.illinoisstate.edu/downloads/casei/3-01-04-handout%20TextStructureResources%201.pdf

https://www.hoodriver.k12.or.us/cms/lib06/OR01000849/Centricity/Domain/873/LA_res_TxtStruc_ORS_Module%20copy.pdf

**პროექტზე დაფუძნებული აქტიური სწავლა-სწავლება**

https://www.pblworks.org/what-is-pbl

**პროექტზე დაფუძნებული სწავლება საკლასო ოთახში**

https://www.teacheracademy.eu/course/project-based-learning/

**მაღალი ხარისხის პროექტზე დაფუძნებული სწავლა**

https://hqpbl.org/wp-content/uploads/2018/03/FrameworkforHQPBL.pdf

**ითვინინგის შემაჯამებელი ჟურნალი**

https://www.etwinning.net/eun-files/report2017/eTwinning-report-2017_DEF.PDF

**გულნარა ჟღენტი**

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების
საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

## თამაშით სწავლება I კლასში

როგორც ვიცით დავით უზნაძის მიერ  დამუშავებული განწყობის თეორია ფსიქოლოგიის დარგში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრადაა მიჩნეული. მისი აზრით ბავშვი თამაშის პროცესში ბევრ რამეს ითვისებს.

6 წლის ასაკის ბავშვები გამოირჩევიან სილაღითა და ცნობისმოყვარეობით. I კლასის მასწავლებელი სირთულეების წინაშე დგას. ის უნდა იყოს ბავშვისთვის მეგობარიც, მშობელიც და ფსიქოლოგიც. მან უნდა გაითვალისწინოს თითოეული ბავშვის თავისებურებები. 6 წელი, ეს ხომ ბავშვის განვითარებაში კრიზისული პერიოდია, ის მიდის სკოლაში და თამაშიდან უცებ გადადის დასწავლის აქტივობებზე, რაც ნაკლებად ან შეიძლება საერთოდ უინტერესო  გამოდგეს მისთვის.

35 წუთის განმავლობაში ბავშვს ხან შია, ხან სწყურია, ხანაც სახლიდან წამოღებული სათამაშოსკენ გაურბის თვალი. მასწავლებელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს მისი ინტერესის გასაღვივებლად, რათა სრულიად ახალი სასწავლო გარემო მისთვის ნაკლებად სტრესული აღმოჩნდეს. ამისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ „თამაშით სწავლება“, რაც დღესდღეობით აქტუალურია.

საანბანო პერიოდში, როცა იწყება ასო-ბგერების შესწავლა და თითოეულ ასო-ბგერას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ეთმობა სამი გაკვეთილი, სამივე გაკვეთილი უნდა იყოს სიახლეების მომტანი და საინტერესო რესურსებით დატვირთული.

ინტერნეტ-სივრცეში უამრავი მულტფილმი თუ საბავშვო სიმღერაა განთავსებული, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება რესურსად გამოიყენოს, ასევე შეიძლება თავადაც შექმნას მოსწავლეთათვის საინტერესო რესურსები.

საანბანო პერიოდის I გაკვეთილი, ყველასათვის ცნობილია, არის „ია“. მოსწავლემ უნდა იცოდეს წელიწადის რომელ დროს მოდის ია და რა დატვირთვა აქვს მას, ამიტომ მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეთა განწყობის შესაქმნელად გამოიყენოს ნაწყვეტი, მათთვის საყვარელი, ჟირაფი ჟოზეს სიმღერიდან „წელიწადის დროები“, ეს გამოდის შემეცნებითიც და ბავშვი სიამოვნებით ერთვება საგაკვეთილო პროცესში, ამის შემდეგ ბავშვების მონაწილეობით შეიძლება დაიდგას სცენარი, რომელიც შეეხება წელიწადის დროებს, უჩვენოს მოსწავლეების ძალებით გახმოვანებული მის მიერ შექმნილი რესურსი. (მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას იწვევს, როცა თავიანთ გახმოვანებულ რესურსს მასწავლებელი გაკვეთილზე გამოიყენებს).

შემდეგ აქტივობაში  შეილება მასწავლებელმა გამოიყენოს ბუკები და მოსწავლეებს  მიაწოდოს PowerPoint_ში შექმნილი ტესტი მოძრავი ყვავილების ფოტოებით, სადაც ბავშვებმა უნდა გამოიცნონ გაზაფხულის მახარობელი პირველი ყვავილი. სწორი პასუხის შემთხვევაში ნაცნობი ზღაპრის გმირი მათ შეაქებს, ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად მოტივირებული ელოდებიან სიახლეებს.

მასწავლებელმა გამომეტყველებით  უნდა წაიკითხოს ილუსტრირებული პატარა მოთხრობა და ამის შემდეგ მოსწავლეებს მისცეს საშუალება იმსჯელონ ამ მოთხრობის ირგვლივ,  კიდევ უფრო საინტერესო იქნება ბავშვებისათვის თუ  ანბანის შემობრძანებას რესურსით უჩვენებს მასწავლებელი და ამ რესურსს პროექტორის გამოყენებით იხილავენ პატარები.

მეორე გაკვეთილზე, როცა უკვე წერის ტექნიკას ეუფლებიან მოსწავლეები, სასურველია მათთვის საყვარელი გმირების, ბასტისა და ბუბუს მულტფილმები უჩვენოს მასწავლებელმა, რომელშიც მოსწავლეები იოლად ამოიცნობენ ასო-ბგერებს, შემდეგ კი  თვალსაჩინოდ უნდა ნახონ როგორ იწერება ასო-ბგერები „ა“ და „ი“. ამ ასაკში მათ კარგად აქვთ განვითარებული მხედველობითი მეხსიერება და იოლად იმახსოვრებენ, თუ როგორ მოხაზონ თითოეული ასო-ბგერა.

რამდენიმე ასო-ბგერის შესწავლის შემდეგ მასწავლებელმა განწყობის შესაქმნელად, სასურველია, გაკვეთილი  დაიწყოს ჟირაფი ჟოზეს სიმღერით ანბანზე. (ჟირაფი ჟოზე დღეს ბავშვებში მეტად აქტუალურია).  ბავშვებს ამით განწყობაც ექმნებათ და თან სიმღერ-სიმღერით და ხალისით სწავლობენ ქართულ ასო-ბგერებს. (ცნობილი ფაქტია, რომ ქართული ანბანი ქართველების უმრავლესობამ არ იცის).

შემდეგ გაკვეთილებზე, როცა ბავშვებს ბევრი რამ აქვთ ნასწავლი შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს აქტივობა „ანბანის ყუთი“, რომელშიც მოთავსებული იქნება პატარა ბურთები, სასურველია ტენისის ბურთები, რომლებზეც დაწერილი იქნება ასო-ბგერები. მოსწავლე ამოიღებს ყუთიდან ბურთს და რომელი ასო-ბგერაც შეხვდება, იმ ასო-ბგერაზე დაწყებულ ანდაზას იტყვის.

აუცილებელია ყველა გაკვეთილის შუაში გამოყენებული იქნას წუთ-შესვენება და თუ ეს მუსიკალური იქნება, ბავშვები მას მეტი ინტერესითა და ხალისით შეასრულებენ,

სასწავლო მასალისა და ბავშვის შესაძლებლობათა თანხვედრის პროცესი ურთულესია და ის მასწავლებელმა უნდა წარმართოს. ყოველივე ეს პედაგოგისგან ხელოვანის მსგავს შემოქმედებას მოითხოვს. მასწავლებელი „ხსნის“ ახალ მასალას, უცნობი ნაცნობზე დაჰყავს, ახალი-ძველზე. ის ერთგვარი შუამავალია სასწავლო მასალასა და ბავშვის შესაძლებლობებს შორის, არეგულირებს ამ პროცესს და ქმნის პირობებს შემდგომი განვითარებისათვის - აღნიშნავს დ. უზნაძე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


დ.უზნაძის განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები. უნივერსიტეტის შრომები. თ.19


**აქტივობების ბმული:**

https://drive.google.com/drive/folders/1vU4in_X_sFpxpbyZz-Ms6fU7wJbxpyHO
https://drive.google.com/drive/folders/1j4X3Ob0JC6dfNV8FmQSUHxs90ucDmM8p


## ლელა კვარაცხელია

ფილოლოგიის დოქტორი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი,
სსიპ ქალაქ რუსთავის №23 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებელი.


## სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში

**შ ე ს ა ვ ა ლ ი**

…დრო იცვლება, ცივილიზაცია ვითარდება, სამყარო ახალ მოთხოვნებს უყენებს ადამიანს და სწავლა-სწავლების პრობლემაც ახლებურ მიდგომას მოითხოვს. მოსწავლეები სხვა  თავლით უყურებენ სამყაროს და განსხვავებული კრიტერიუმებით ზომავენ ყველაფერს. XX საუკუნემ ფაქტობრივად პასუხი გასცა კითხვას _ **რა ვასწავლოთ? მაგრამ ანტიკური სამყაროდან დღემდე აქტუალურია საკითხი: როგორ ვასწავლოთ? რა ვიღონოთ, რომ ადამიანმა მაქსიმალურ შედეგს მიაღწიოს? რას ნიშნავს „მაქსიმალური საუკეთესო შედეგი“ და რა განაპირობებს მას _ ნიჭი, შრომისმოყვარეობა თუ ორივე ერთად?** რა როლი ეკისრება ამ საქმეში საზოგადოებას, სახელმწიფოს, ადამიანის პიროვნების შიდა თუ გარე სულიერ და მატერიალურ სამყაროს და განსაკუთრებით _ მასწავლებელს... რა არის ნიჭი და რატომ ვლინდება ის ადამიანის სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა დოზით? ადამიანში რაღაც შესაძლებლობა**,** რაღაც ნიჭი ყოველთვის მეტ**-**ნაკლენად არის ჩადებული**.** მთავარია**,** როდის და როგორ აღმოვაჩენთ და  განვავითარებთ თუ ჩავკლავთ მას**.** ნიჭის აღმომჩენისა და განმავითარებელის ფუნქცია განათლების სისტემას ეკისრება**,** მომხმარებლისა და ხელშემწყობის **---** სახელმწიფოსა და საზოგადოებას**.** თუმცა აქ უმნიშვნელოვანესი მოსწავლეში (ასაკის მიუხედავად) სათანადო გამოყენებადი ცოდნის დაგროვებაა, რაც განათლების_სწავლა-სწავლების, სისტემის პრეროგატივაა და მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. 21-ე საუკუნემ მოითხოვა ახლებური საგანმანათლებლო პრინციპების ჩამოყალიბება, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი გემოვნებისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნებს.

**ძირითადი ნაწილი**

## თავი I. სამოდელო გაკვეთილის არსი, მიზანი და დანიშნულება

კაცობრიობამ განათლებაში არაერთი მეთოდი  აღმოაჩინა, გასინჯა და განავითარა, ზოგიც უარყო... და დღემდე ძიებაშია. თანამედროვე პედაგოგიკის „მესვეურნი“ სწავლა-სწავლების არაერთ მეთოდს ჩამოგვითვლიან, მაგრამ ისმის კითხვა, როგორ ვასწავლოთ მასწავლებელს (ან სტუდენტს) სწავლება? ჩემი აზრით, ეს სამოდელო გაკვეთილის მიზანია.

სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში მეტად საინტერესო და თანაც აქტუალური საკითხია.

სამოდელო გაკვეთილი საჩვენებელია, სანიმუშოა და არაერთ საინტერესო  ინოვაციურ მეთოდსა და აქტივობას გულისხმობს. გარდა ტრდიციული გაკვეთილის გეგმის კომპონენტებისა, მასში აუცილებლად გათვალისწინებულია კვლევის კომპონენტი, სიახლის დანერგვა და შედეგის მიღწევის ორიგინალური გზა. მიხედვით, მაგრამ  ყოველივე ამის განხორციელება და მოსწავლეებისთვის შეთავაზება ერთ საგაკვეთილო დროში რთულია, თუმცა, თანამედროვე კომპიუტერული სისტემების აქტიური გამოყენებით შესაძლებელია. **დაგეგმვისას აუცილებლად უნდა გაგვეთვალისწინოთ, რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა ცოდნის  დონე დაგეგმილ აქტივობებს, რამდენად მიღწევადია შედეგი და რამდენად საკმარისი _ დრო. როცა ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სამოდელო გაკვეთილი მოსწავლეებში უფრო მეტი და მდგრადი შედეგის მისაღწევი მარტივი გზაა, მიუხედავად მისი მომზადებისა და განხორციელების შედარებითი სირთულისა.**

კვლევემ ცხადყო, რომ სამოდელო გაკვეთილის მოსწავლეებში აღძრავს უფრო მეტ ინტერესს, ვიდრე ჩვეულებრივი, უფრო უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება, ძიებისა და აღმოჩენის სურვილი. საგაკვეთილო საკითხების მრავალმხრივი წარმოჩენა და განხილვა ამაღლებს მათს ზოგად ინტელექტს. უნდა აღინიშნოს ფაქტებისა და ტექსტების დამახსოვრების სიმყარეც, რადგან სამოდელო გაკვეთილებზე ვიზუალური მასალის სიუხვე და სწავლა-კეთების მეთოდი უწყობს მოცემული მასალის დამახსოვრებას.

სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვის ამოსავალი წერტილი მოცემული საგნით, მოცემული თემით მოსწავლეთა დაინტერესებაა. შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის კონსტრუირების უახლეს მეთოდებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში.

სამოდელო გაკვეთილი ავლენს თავად მასწავლებლის შეასაძლებლობებს, ანუ როგორ ასწალის ის, როგორია არა მარტო მისი მეცნიერული საფუძველი, არამედ კლასთან ურთიერთობა, სიახლეების წვდომის, შემოქმედებითი მიდგომის, ფსიქოლოგიური ზეგავლენის, შედეგის მიღწევის, მისი ანალიზისა და  თვითშეფასების უნარი და პედაგოგიური ნიჭი.

სამოდელო გაკვეთილის არსი მის ნიმუშად წარმოდგენას გულისხმობს, რაც თავისთავად მოითხოვს მასზე გულდასმით მუშაობას. ეს არის გამოცდილების გაზიარება, „სწავლების სწავლება“ და თავისებური თვითსწავლებაც.

სამოდელო გაკვეთილი გამოცდილების გაზიარებაა, თავისებური სწავლებაა დამსწრე მასწავლებელებისთვის და თავისებური თვითსწავლებაა ავტორისათვის, რომელიც გაიმდიდრებს გამოცდილებას და  შემდეგში უფრო თავისუფლად ჩაატარებს მსგავს გაკვეთილებს და მოსწავლეებთან უკეთეს შედეგსაც მიაღწევს.

ამრიგად, სამოდელო გაკვეთილებს სკოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს, ოღონდ უნდა ვიცოდეთ სად, როდის, როგორ, რისთვის ვამზადებთ მას და რა შედეგზე გავდივართ.

## თავი II. სამოდელო გაკვეთილის სტილი და მისი უპირატესობა_ინოვაციური ტექნოლოგიები

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ სამოდელო გაკვეთილის 4 სახეს: ინოვაციურს, ინტეგრირებულს, პრობლემებზე დაფუძნებულს, გამჭოლი კომპეტენციების... თუმცა მასწავლებელმა შეიძლება ჩაატაროს სხვა სახის გაკვეთილებიც. ჩემი აზრით, საინტერესო იქნებოდა ე. წ. **„ყოველდღიური“** სამოდელო გაკვეთილი, ის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის.

სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა უნდა დაიწყოს სამოდელო გაკვეთილებით, რაც თავისთავად უკავშირდება მათი ჩატარების სტილს. მასში აუცილებლად გასათვალისწინებელია ჩვეულებრივი გაკვეთილის ყველა კომპონენტი, თუმცა არ არის აუცილებელი მასწავლებელმა აქტივობებისა და მეთოდების განსაზღვრისას მისდიოს აუცილებლად 1 საყოველთაოდ მიღებულ ფორმას. სწავლა შეიძლება კეთებით, თამაშით, დიალოგით, დისკუსიითა თუ დებატების გამოყენებით.... ეს მასწავლებლის არჩევანსა და კლასის ცოდნის დონეზეა დამოკიდებული, მაგრამ უმთავრესი მაინც მიზანი, სათანადო მეთოდის განსაზღვრა და შედეგია _ რა შეკვეთა მოგვცა ამ გაკვეთილისთვის ეროვნულმა სასწავლო გეგმამ და რა შევასრულეთ, რას მივაღწიეთ?!

**ხშირად სვამენ კითხვას: რას ნიშნავს ინოვაციური ტექნოლოგია? რას გულისხმობს მისი გაკვეთილზე გამოყენება? როგორ უნდა აისახოს ეს სასწავლო გეგმაში?** ინოვაციურ საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში დღეს ხშირად მოიაზრებენ უახლეს საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ ინოვაციური ტექნოლოგია, ამას გარადა, ნიშნავს ახალი მეთოდოლოგიის, ახალი პედაგოგიური მიდგომებისა და საშუალებების გამოყენებას გაკვეთილზე მთელი კლასისა და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისიწნებით. უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან:

1. ის საშუალებას გვაძლევს გაკვეთილზე დავზოგოთ დრო და მოსწავლესაც ვასწავლოთ დროის ეკონომიურად გამოყენება.
2. ის მეტად მრავალფეროვანს ხდის გაკვეთილს, საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ მრავალფეროვანი აქტივობები და მეთოდები.
3. მოსწავლე მოვამზადოთ თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქისათვის.
4. მოსწავლეს უქრება შეცდომის დაშვების შიში, იგი ხვდება, რომ მისი გასწორება ადვილია.
5. მოსწავლეებში აღვივებს ინტერესს. თანამედროვე ვიდეო რესურსებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ყოველთვის ხელს უწყობს მყარ დამახსოვრებას და გამოყენებადი ცოდნის მიღწევას, რადგან ითვალისწინებს ინფორმაციის არა მარტო სმენით, არამედ ხედვით (ვიზუალურ) აღქმას.
6. გაკვეთილის მასალებზე_პროექტსა თუ სხვა დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები ეჩვევიან დამოუკიდებლობას, იძენენ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად თუ ჯგუფურად მიღების უნარს, მასწავლებელი აქ უფრო ფარული რეჟისორია, რომელიც მოქმედების სადავეებს მოსწავლეებს აკავებს და ცდილობს იყოს დამკვირვებელი და ხელშემწყობი.

ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენება დღეს ყველაზე მეტად სამოდელო გაკვეთილებზე ჩანს, მაგრამ ეს უნდა იყოს თავისებურად „დოზირებული" და შედეგზე ორიენტირებული. გაკვეთილი უნდა ამტკიცებდეს მათი გამოყენების აუცილებლობას და არა ხელოვნურობას.

საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვებამ და კვლევამ ცხადყო, რომ სამოდელო გაკვეთილებს განსაკუთრებული მიდგომა და დაგეგმვა სჭირდება. ის მოსწავლეებისთვისაც საინტერესოა და კოლეგებისთვისაც, თუმცა საჭიროა მისი დაგეგვის მოდიფიცირება, რომ თანდათანობით ამა თუ იმ სახის სამოდელო გაკვეთილი იქცეს ყოველდღიურ (ან გარკვეულ თემებზე მორგებულ) გაკვეთილად და მერე კი გაჩნდება ახალი სახის სამოდელო გაკვეთილების დაგეგმვისა და განხორციელების აუცილებლობა, რაც წინსვლისა და განვითარების საშუალებას მოგვცემს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებული სამოდელო გაკვეთილის 4 სახეობიდან ყველაზე ხშირად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, რადგან საგანთა ინტეგრირებაზე ყურადღება 2000-იანი წლების დასაწყისიდან გამახვილდა და დღეს მას შედარებით ადვილად ართმევენ თავს. კითხვაზე, თუ რას ნიშნავს ინოვაციური გაკვეთილი, მასწავლებელთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ ეს აუცილებლად გულისხმობს კომპიუტერული ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას. ჩვენი აზრით, ეს მიდგომა მცდარია. შედარებით ნაკლები იციან პრობლემაზე ორიენტურებულ გაკვეთილზე, გამჭოლ კომპეტენციებზე კი იშვიათად თუ საუბრობს ვინმე, სამოდელო გაკვეთილის ეს სახე ჩაღრმავებასა და გაკვეთილის გეგმისადმი თავისებურ მიდგომას მოითხოვს.

**დასკვნა**

ამრიგად, სამოდელო გაკვეთილი თანამედროვე სწავლა-სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მისი უპირატესობაა:

- მოსწავლეთა მეტად დაინტერესება;
- ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენების მეტი შესაძლებლობა;
- სკოლებში გაკვეთილის დაგეგმვასა და განხორციელებაში კვლევითი ელემენტების გაძლიერება, კათედრებსა და მათ წევრებს შორის თანამშრომლობა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება;
- სკოლებს შორის ურთიერთთანამშრომლობა და ამ საქმიანი ურთიერთობის გამოყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საქმეში;
- მასწავლებელთა ახალი თაობების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა;

სამოდელო გაკვეთილებს დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიური პრაქტიკის წარმატე-ბით განხორციელებაშიც და ეს შეიძლება სკოლებისა და უნივერსიტეტების შემდგომი მჭიდრო ურთიერთობის საფუძველიც გახდეს. ოთხივე სახის სამოდელო გაკვეთილის მასალები განთავსებულია ბლოგზე: https://akhalaialela.wixsite.com/website

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. კოჰენი ლ., მანიონი ლ., მორისონი ქ., კვლევის მეთოდები განათლებაში, თბ., 2012წ.
2. მარზანო რ. ჯ., ფიქერინგი დ.ჯ., ფოლოქი ჯ. ი., ეფექტური სწავლება სკოლაში, 2015წ.
3. ნიჟარაძე ნ., მაკლეინი ქ., ბოლი ტ., გოგიჩაძე ნ., ლოდია თ., სასწავლო და პროფესიული გარემო, თბ., 2011წ.
4. ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს., განვითარებისა და სწავლების თეორიები, თბ., 2011წ.

**ინტერნეტწყარო:**

5. ლობჟანიძე ს., სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები, http://mastsavlebeli.ge/?p=2536 _ უკანასკნელად გადამოწმებულია 30.05.2019წ.
6. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4---0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&cl=-CL2.19&d=HASH53faba1e9f16a8a26bc137.2&gc=1 უკანასკნელად გადამოწმებულია 30.05.2019წ.



**ია დარბაიძე,**

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი


**როგორ განვუვითაროთ მოსწავლეებს მხატვრული კითხვის უნარები**

21–ე საუკუნეში კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ მოსწავლეთა და არა მარტო მოსწავლეთა უმრავლესობა მიაჯაჭვა კომპიუტერსა და ტელევიზორს.მათი გავლენა ძალიან დიდია მოზარდთა მეტყველებაზე. დამახსოვრებული მეტყველების მანერა,ინტონაცია,ტონი,ამას ემატება დიალექტიც და ხშირად, მოსწავლეებმა არ იციან ლექსის სწორად წარმოთქმა,რასაც დაწყებითი საფეხურიდანვე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენა არაა მხოლოდ სასწავლო საგანი,ის სწავლების ენაცაა და ამიტომაც ,ქართული ენის მასწავლებელს დიდი მისია აკისრია, როგორც წერითი,ისე ზეპირმეტყველების განვითარებისას.

ალბათ დამეთანხმებით, რომ არასასიამოვნო მოსასმენია ცუდად წაკითხული ლექსი.ზოგჯერ მოსწავლეებს ჰგონიათ,რომ თუ ლექსის ტექსტი იციან ზეპირად, მაღალ ქულას იმსახურებენ.ამიტომაც მასწავლებელს მხატვრული კითხვის ეფექტური მეთოდები დაეხმარება მოსწავლეში როგორც ამ უნარების გასავითარებლად,ისე მათში სწორი თვითშეფასების ჩაოყალიბებაში. გაგიზიარებთ ჩემი ათწლიან პედაგოგიურ მიგნებებს: იმისათვის, რომ მოსწავლეებს განვუვითაროთ მხატვრული კითხვის უნარები,უპირველესად,ტექსტი უნდა გავააზრებინოთ,გავაგებინოთ,რათა ყურადღების მიღმა არ დარჩეს მასში ჩაქსოვილი ემოცია. დიახ,პირველად გრძნობა–განწყობა უნდა გადავცეთ მათ,რისი ფლობაც დიდ გავლენას ახდენს მსმენელზე.მხატვრული კითხვისას გადამწყვეტ როლს თამაშობს გამოყენებული ინტონაცია,ინტონაციას კი სწორად დასმული მახვილი განაპირობებს.მახვილის ადგილი ლექსში განსაზღვრულია: ორმარცვლიან სიტყვაში მახვილი ბოლოდან მეორე ადგილზეა,სამ და მეტმარცვლიან სიტყვაში კი –ბოლოდან მესამეზე. ტექსტის გააზრების საფუძველზე ვირჩევთ წარმოთქმის ტონსა და რიტმს.არ შეიძლება შეუსაბამოდ ვიხმაროთ რომელიმე.სადაც საჭიროა რიტმი უნდა აჩქარდეს,ხან შენელდეს.ასევე მნიშვნელოვანია, დაცული იქნეს პაუზა.პაუზა ხან მოკლეა,ხან კი დიდია.მისი სიდიდე სათქმელზეა დამოკიდებული.ხანგრძლივი პაუზა ერთმანეთისაგან გამოკვეთს,ხაზს უსვამს მნიშვნელოვან ადგილებს და ამითმსმენელთა ყურადღების მობილიზებას ახდენს.არ შეიძლება დაგვავიწყდეს მიმიკა–ჟესტიკულაცია,ის ხომ ვერბალური მხარის მკაფიოდ წარმოჩენაში გვეხმარება.

მასწავლებელმა ჯერ თეორიული სკითხები უნდა შეასწავლოს მოსწავლეებს(რას ნიშნავს და სად უნდა დაისვას მახვილი და ა.შ.)და შემდეგ ტექსტის განხილვა–დამუშავების შემდეგ გადავიდეს პრაქტიკულ სამუშაოზე.გადაწერილ ტექსტში,მოსწავლემ თავად უნდა დასვას მახვილი(უნდა აუხსნას მასწავლებელმა რას ნიშნავს მახვილი და როგორ წარმოითქმის) და დავავალოთ მისი გამოყენებით წაიკითხოს ტექსტი.მანამ ვავარჯიშოთ (ბუნებრივია,არ გვეყოფა ერთი გაკვეთილი) მოსწავლეები,სანამ კარგად არ დახელოვნდებიან მახვილის სწორად დასმაში.ტექსტის წაკითხვისას მყისიერად უნდა მიეცეს მოსწავლეებს შენიშვნა,რათა არასწორად არ დაამახსოვრდეთ რაიმე.

მხატვრული კითხვის განვითარებას ხელს უწყობს ასევე, როლური კითხვის მეთოდი.მოსწავლეები ლიტერატურულ ტექსტს კითხულობენ როლებში ( ამ დროს თითოეული მონაწილე ყურადღებითაა ჩართული კითხვის პროცესში: ისინი ცდილობენ დროულად ჩაერთონ და წაიკითხოს მათთვის განკუთვნილი ტექსტი; იყენებენ შესაბამის ინტონაციას გმირის ხასიათის გადმოსაცემად და ა.შ. მოსწავლეებს ძალიან ახალისებთ ინსცენირებაში მონაწილეობა,რის დროსაც ღიად ავლენენ მსახიობურ მონაცემებსაც.

სკოლაში ჩამოვაყალიბე „მუყაოს თეატრი“, რის ფარგლებში დაიდგა ინსცენირება „ჩიტების გამომზამთრებელი“(ვიდეოშეგიძლიათიხილოთლინკზეhttps://www.youtube.com/watch?v=kzncp-5CcmDc

მოსწავლეებს ძალიან ახალისებთ ჩანაწერთა მოსმენა, მელოდიის თანხლებით ლექსის წაკითხვა და ბოლოს, თუ მასწავლებელიც კარგი დეკლამატორია,მიღწეული შედეგიც თავლსაჩინო იქნება,რადგან,როგორც სულმნათმა შოთა რუსთაველმა თქვა:

„მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს“...

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. აკაკი შანიძე, „თხზულებანი“, 1980წ. გამომცემლობა „თბილისი“.
2. მიხეილ რეხვიაშვილი, „ქართული ენის საკითხთა (გრამატიკა,მართლწერა, მეტყველების განვითარება, პუნქტუაცია, ფრაზეოლოგია, მხატვრულ–ფიგურალური გამოთქმები) სწავლების მეთოდიკა, 2005 წ. გამომცემლობა „ზეკარი“.

**სალომე ფურცხვანიძე**

მულახის საჯარო სკოლა, მეწარმეობის საფუძვლების პედაგოგი

## მეწარმეობის საფუძვლები - პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება

დღევანდელ რეალობაში სწავლის პროცესი უინტერესოა მოსწავლეებისათვის,თუ ის თანამედროვე,ინოვაციურ და პრაქტიკულ ელემენტებს არ შეიცავს.მასწავლებლები ყოველთვის ძიების პროცესში არიან,იყენებენ არამარტო საქართველოს საჯარო სკოლების პედაგოგთა,არამედ სხვსდასხვა ქვეყნის სკოლების პედაგოგების გამოცდილებებს.ხშირად ცდილობენ სასწავლო პროცესის შემდეგ გაახალისონ მოსწავლეები არაფორმალური სწავლების ელემენტებით,შექმნან თავისუფალი ურთიერთობების სივრცე,სადაც მოსწავლეები თავად დაგეგმავენ და განახორციელებენ აქტივობებს სასურველი დროის ფარგლებში.სწორედ ესაა ხიბლი არაფორმალური სწავლებისა,რომელზეც მოთხოვნილება გარკვეული დოზით ყველა მოსწავლეს აქვს.

ფორმალური სწავლების პროცესი ხშირად გამოშიგნული რჩება პარაქტიკული და სახალისო აქტივობებისაგან,განსაკუთრებით იმ შემთხვევაში,როცა მასწავლებელი იგივე საგნის მიმართულებით ახორციელებს არაფორმალური ტიპის (კლუბი,საწრეო მუშაობა და სხვა)შეხვედრებს მოსწავლეებთან. ამ დროს გაკვეთილები მოიცავს რუტინულ,დამღლელ სამუშაო პროცესს,ხოლო ბავშვებისათვის სახალისო და სასიამოვნო აქტივობები მხოლოდ არაფორმალური შეხვედრებისთვისაა განკუთვნილი. როგორ შეიძლება გავხადოთ გაკვეთილი დატვირთული პრაქტიკული და სახალისო სამუშაოებით,პარალელურ რეჟიმში კი ვეწეოდეთ საგნის მიართულებით არაფორმალურ მუშაობას?

მსგავსი პრობლემების გადაჭრის თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება წარმოვადგინოთ ეროვნულ სასწავლო ბადეში არჩევისაგნად შეტანილი საგანი-მეწარმეობის საფუძვლები,რომლის სწავლის პროცესის მხრდამჭერია ორგანიზაცია ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველო. მეწარმეობის საფუძვლები თავის თავში იმთავითვე გულისხმობს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას,სადაც პირველი ეტაპი მოიცავს  სამეწარმეო საქმიანობის რეალურ დაგეგმვას და დოკუმენტაციის შექმნა-მოწესრიგებას. ბავშვები სხვადასხვა კითხვარების დახმარებით ამოიცნობენ საკუთარ უნარ-ჩვევებს და განსაზღვრავენ საწარმოს რომელ ვაკანსიის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.ამის შემდეგ კი ხდება საწარმოს ხელმძღვანელი პირებით და თანამშრომლებით დაკომპლექტება.საწარმოს დამფუძნებლები ერთიანდებიან ერთი ბიზნეს იდეის ირგვლივ,ქმნიან ბიზნეს გეგმას და აკეთებენ საპაიო შენატანს.რის შემდეგ თანამშრომლებთან ერთად ქმნიან პროდუქციას.

სწავლების  მეორე ეტაპი ითვალისწინებს სამეწარმეო საქმიანობის რეალურად წარმართვას და ოფიციალურად დარეგისტრირებული სასკოლო მინიკომპანიების კონკურსში მონაწილეობის მიღებას,რომლის გამარჯვებულებსაც ყოველწლიურად იწვევენ სასკოლო მინიკომპანიების გამოფენა გაყიდვაზე.კონკურსის საბოლოო ერთი გამარჯვებული კი მიემგზავრება მსოფლიო სასკოლო მინიკომპანიების კონკურსზე.ასევე ყოველწლიურად ჯილდოვდებიან კონკურსანტები სამ კატეგორიაში;წლის საუკეტესო გაყიდვები,ჟიურის სიმპატია,და წლის საუკეტესო პროდუქტი.

ზემოთარნიშნული საგნის სწავლებაუკვე ორი წელია წარმატებით მიმდინარეობს სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ მულახის საჯარო სკოლაში.მიუხედავად იმისა რომ სკოლა რაიონულ და რეგიონულ ცენტრს ძლიერ მოშორებულია და მცირეკონტიგენტიანია პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება სრული წესების დაცვით მიმდინარეობს.წელს მოსწავლეებმა მიზნადა დაისახეს შეექმნათ სასკოლო მინიკომპანია OLD SPACE,რომელიც აწარმოებდა სვანურ მარილს, სვანური უძველესი რეცეპტითა და  სურნელ-სანელებლებით.მოსწავლეებმა მეწარმეობის პედაგოგთან,სალომე ფურცხვანიძესთან ერთად  მოიპოვეს სვანური მარილის „ლუშნუ ჯიმ“-ის წარმოებისა და გაყიდვის უფლება,სასკოლო მინიკომპანიების კონკურსზე წარადგინეს ბიზნეს გეგმა და მოხვდნენ 23 საუკეთესო სასკოლო მინიკომპანიას შორის.მინიკომპანია OLD SPACE მიწვეული იქნა თიბისი მოლის სავაჭრო ცენტრში სასკოლო მინიკომპანიების გამოფენა-გაყიდვაზე,სადაც დაიმსახურეს პრიზი სამესარმეო საქმიანობაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის,ასევე გახდნენ წლის საუკეთესო გაყიდვების ნომინაციის გამარჯვებულები.

მნიშვნელოვანია,რომ ორგანიზაცია ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველო ფორმალური განათლების მხარდაჭერის გარდა სკოლებს მხარში უდგას არაფორმალური განათლების კუთხით და საჩუქრად გადასცემს ბიზნეს პროგრამებს საკლუბო და საწრეო საქმიანობის წარსამართად.

მოზარდები ყველაზე კარგად ითვისებენ იმ საკითხებს რომელსაც უშუალოდ პრაქტიკული

სწავლების დროს მიეწოდებათ,რეკომენდებულია სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს რომელიმე აპრობირებული ინოვაციური მეთოდით,მაგალითად პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებით, რომელიც იძლევა საშუალებას გაზარდოს მოსწავლეებში ენთუზიაზმი და მოტივაცია.

ნაყოფი შედეგისა აჩვენებს რაოდენ მნიშვნელოვანია არჩევითი საგნის-მეწარმეობის საფუძვლების სასწავლო ბადეში ჩაშვების საკითხი,მისი საშუალებით მოსწავლეები ხდებიან ნამდვილი მეწარმეები,ივითარებენ სამოქალაქო და სოციალურ უნარ-ჩვევებს,ხდება ფინანსური და მედია წიგნიერების დონის ამაღლება.


## მაია ყალიჩავა

სსიპ.ქ.წალენჯიხის N5 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგი


### თანამედროვე მიდგომები ინკლუზიურ განათლებაში „ყველა განსხვავებულია,ყველა თანასწორია!

განათლების სისტემაში არსებული გამოწვევების ფონზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა სკოლაში ინკლუზიური განათლების სწორად და ხარისხიანად დანერგვა. მასწავლებლების მიზანი უნდა იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები დაარწმუნონ იმაში, რომ სხვებისგან განსხვავებულები არიან,მაგრამ თანასწორები უფლებებში. ასევე მნიშვნელოვანია სკოლის საზოგადოების წევრების ცნობიერების ამაღლება . მასწავლებლებმა უნდა დაამსხვრიონ დღეს არსებული სტრეოტიპული დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ.

მართლაც რომ ოცდამეერთე საუკუნე განათლების სისტემას და ამ სისტემაში მომუშავე მასწავლებლებს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ძნელია იმის მტკიცება, რომ ძალიან მაგარი მასწავლებელი ვართ ან პირიქით ძალიან ცუდი მასწავლებელი. უბრალოდ ეს სტატია გამოცდილების გაზიარებას ემსახურება. სკოლაში მუშაობის შვიდწლიანი პერიოდის განმავლობაში როგორც მასწავლებელს ბევრჯერ მოსულა ფიქრი, არის თუ არა ინტერესის სფერო სკოლაში მუშაობა და ბავშვებთან ურთიერთობა. გამოწვევების ფონზე საფიქრებელია, რომ არ არის საკმარისი მოსწავლეებს მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნა მივცეთ,არამედ აუცილებელია მოსწავლეებს ჰქონდეთ მოტივაცია ,პოზიტიური განწყობა- დამოკიდებულება იმისთვის,რომ ჩამოყალიბდნენ აქტიურ და თავისუფალ პიროვნებებად, შეძლონ გაკვეთილზე მიღებული ინფორმაციის რეალურ სიტუაციაში გამოყენება.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ დამოკიდებულება დღითი დღე იცვლება,თუმცა საერთო სურათი მაინც არ არის ისეთი როგორიც უნდა იყოს. დიდი ხნის განმავლობაში ამ ადამიანების დისკრიმინაცია და ჩაგვრა ასევე სტერეოტიპული შეხედულებების გამო ხდებოდა. ისინი იზოლირებულები იყვნენ საზოგადოებისგან , რადგან საზოგადოებას უჭირდა განსხვავებულის მიღება და ცდილობდა ,მათი გარიყვა სამედიცინო მიზეზებით დაესაბუთებინა. თუმცა ადამიანის უფლებების განვითარებასთან ერთად, ამ ადამიანებთან დაკავშირებული მითებიც დაიმსხვრა და დღეს ისინი თანასწორ მოქალაქეებს წარმოადგენენ. ბევრჯერ მოგვისმენია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანი უნდა ცხოვრობდნენ საზოგადოებისგან ცალკე, დახურულ დაწესებულებებში და მხოლოდ საქველმოქმედო აქციების დროს მოინახულონ.

იმისთვის,რომ სკოლებში ხარისხიანად დაინერგოს ინკლუზიური განათლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლებს,რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ მიაწოდონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს სწორი და საჭირო განათლება.

მასწავლებლები სსმმ მოსწავლეებთან მუშაობისას აწყდებიან პრობლემებს. ძირითადად ისეთი დარღვევები იჩენს თავს ,რომელიც დაკავშირებულია გონებრივ განვითარებასთან და ქცევასთან. სიძნელეებია სწავლაში,ვერ კითხულობენ ,სწორად ვერ წერენ ,უჭირთ დავალებების დასრულება და ყურადღების კონცენტრაცია.აუცილებლია გამოცდილების დაგროვების მიზნით სტატიების გაცნობა . დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს ახასიათებს გონებრივი ჩამორჩენილობა,რომელსაც თან ახლავს დამახასიათებელი გარეგნობა,რის საფუძველსაც წარმოადგენს ზედმეტი ქრომოსული სისტემის ანომალია,რომელიც უპირატესად ერთი ზედმეტი ქრომოსომის არსებობაში ვლინდება. მოკლე კისერი,მოკლე ფართო ხელები,სახის ბრტყელი პროფილი-ეს იყო სპეციფიკური ფიზიკური

გარეგნობა,რომელიც ახასიათებთ მათ.პირველ პრობლემაზე პასუხი ნაპოვნია. შემდეგი პრობლემაა რატომ ვერ იმახსოვრებენ მოსწავლეები  მარტივად მიწოდებულ ინფორმაციას,რატომ აქვთ პრობლემები მეტყველებაში ,რატომ ვერ ახერხებენ  მასწავლებლის მოსმენას,რასაც შესაბამისად მოყვებოდა ქცევითი დარღვევები.აუცილებელია მასწავლებელმა საკუთარ თავთან იმუშაოს. გაარკვიოს , რომ მათ აქვთ ზოგადად დიფიციტი ყურადღების კონცენტრაციის,ასევე ამ დაავადებას თან სდევს სხვადასხვა ხარისხის მქონე დარღვევები და აქედან გამომდინარე მეტყველების განვითარების პრობლემები.არიან ჯიუტები და ამიტომ პერიოდულად ქცევითი დარღვევები ახასიათებთ.  ვფიქრობ ,რომ ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლის წარმატების მისაღწევად მათში მოტივაციის გაღვივება. ჯორჯ მარზანო თავის კვლევაში წერდა: „ კლასში ძალისხმევის  გაძლიერებაზე მიმართული მეთოდების გამოყენება მოსწავლეებს მნიშვნელოვან გამოცდილებას უვითარებს, ისინი აცნობიერებენ ,რომ დამატებითი მცდელობა გაზრდის წარმატებებს. უფრო მეტიც, თუ მოსწავლეთა წარმატების აღიარების ტექნიკასაც გამოვიყენებთ ,დავინახავთ ,რომ არა მხოლოდ გავზრდით მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს,არამედ გავაძლიერებთ მათ მოტივაციას ,  უფრო მეტიც .თუ მოსწავლეთა წარმატების აღიარების  ტექნიკასაც გამოვიყენებთ ,დავინახავთ,რომ არა მხოლოდ გავზრდით მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს,არამედ გავაძლიერებთ მათ მოტივაციას,რომ კიდევ უფრო კარგად ისწავლონ და კიდევ უფრო მეტი ენერგია მოახმარონ მიზნის მიღწევისკენ სწრაფვას ‘’

მასწავლებლის გზამკვლევში მოცემულია ზოგადი რეკომენდაციები ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვის სწავლებისას.რეკომენდაცია ინტელექტუალური დარღვევების მქონე ბავშვების მასწავლებლების მიმართ შემდეგია: „რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიპოვეთ ინტელექტუალური დარღვევების შესახებ; გააცნობიერეთ, რომ წარმოუდგენლად დიდი ცვლილება შეგიძლიათ შეიტანოთ ბავშვის ცხოვრებაში, გამოიკვლიეთ, რა არის ბავშვის ძლიერი მხარე და ინტერესები და ხელი შეუწყვეთ მის განვითარებას, შექმენით წარმატების შესაძლებლობა“.

დღეისათვის ინკლუზიური განათლების განვითარების კვალდაკვალ ბევრი ბავშვი იღებს განათლებას საჯარო სკოლებში, თუმცა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების განათლების სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაცია დღემდე გამოწვევად რჩება მასწავლებლებისთვის, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევა საჭიროებს მრავალფეროვან აქტივობებს, ხოლო სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის მასწავლებლების მხრიდან მნიშვნელოვანია სპეციფიური სასწავლო სტრატეგიების და მეთოდების გამოყენება.

ზოგდი განათლების მიზნებში  გვიწერია : „საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც .“ აქვე წერია,რომ  „სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება, არჩევანის გაკეთება შემდგომი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის“.

ინკლუზიური განათლება საქართველოსთვის ახალია და შესაბამისად დიდი შრომა გვჭირდება გავერკვიოთ როგორ უნდა ვიმუშაოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. სკოლაში აუცილებელია მოსწავლეებისთვის ჩატარდეს  გამოკითხვა, რამდენად არიან ინფორმირებული ინკლუზიურ განათლებაზე , რა ინფორმაციას ფლობენ და როგორ ესმით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. ანკეტირების კითხვები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ :

- როგორ გესმით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე?
- როგორ ფიქრობთ,  მასწავლებლები  იყენებენ თუ არა გაკვეთილზე სსსმ მოსწავლის ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს ?
- როგორ ფიქრობთ , შეზღუდული შესაძლებლობების ქონა ნიშნავს თუ არა დაავადებას ?
- მსგავსი ანკეტირების ჩატარებამ და კვლევამ შესაძლებელია გამოავლინოს თუ რა  რა ინფორმა-ციას ფლობენ სკოლის მოსწავლეები ინკლუზიურ განათლებაზე.
- აუცილებელი ვალდებულებაა მასწავლებლები  ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე მუშაობნენ,

შეადგინოს ასეთი მოსწავლისთვის გრზელვადიან და მოკლევადიან მიზნები  და მიზნის შესაბამის აქტივობები.გთავაზობთ შემდეგ ნიმუშებს : თემის შესაბამისი ფოტო ილუსტრაციას შექმნა ან მოძიება, მასწავლებელი სვამს კითხვას, რომელიც კავშირშია ფოტოსთან.

- მოცემულ საბრძოლო ტექნიკას ეგვიპტელები ხოლალდს უწოდებდნენ. დააკვირდი ფოტოს, როგორ ფიქრობ რა მასალას იყენებდნენ ძველი ეგვიპტელები ხომალდის ასაგებად?

**ა.** ხეს

**ბ.** ლითონს

**გ.** ქვას

ასევე კარგი იქნება თუ  სასწავლო წლის დასაწყისში სსსმ მოსწავლისთვის მასწავლებელი დაამზადებს დაკვირვების  კონვერტს.  ასეთ კონვერტში მასწავლებელი ათავსებს  განმავითარებელ შეფასებებს. ამით მას შეუძლია დაადგინოს აქვთ თუ არა პროგრესი სსსმ მოსწავლესთან მუშაობისას. მაგალითისთვის გთავაზობთ ერთ -ერთ ნიმუშს  დაკვირვების კონვერტიდან :  „ კითხულობს ტექსტს,აკვირდება როგორ მუშაობს გვერდით მჯდომი თანაკლასელი.საინტერესოა ის მომენტი,რომ ცდილობს აქტიური იყოს გაკვეთილზე.ქცევის პრობლემები შესაბამისად ნაკლებია“. „დღეს კლასელთან  ერთად იმუშავა წყვილში. ეხმარებოდა წერაში და ნახატების მოფიქრებაში.ამ აქტივობის მიზანი იყო თანამშრომლობის უნარის გამომუშავება.ვფიქრობ,რომ მიზანს მივაღწიე! „  „ყოველღიურად მაოცებს.... უნდა რომ კლასში იყოს აქტიური და მასწავლებელმა ყურადღება გამოხატოს მის მიმართ. მას აქვს სურვილი წაიკითხოს და დაწეროს! როცა მივეცი შენიშვნა ,რომ ტექსტს არასწორად კითხულობდა მიხვდა,  რომ მეორეჯერ უნდა წაეკითხა,უკვე ნელი ტემპით.  მოსწონს ისეთი თემები,რაც კონფლიქტებს და ომებს უკავშირდება.(მისი რეპლიკა - მეც მინდა ჯარისკაცი გამოვიდე )

ნამდვილად არ არის ადვილი სიახლეების დანერგვა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში .  თუმცა აუცილებელია სიახლეების და ახალი მეთოდების დანერგვა,რათა საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეებისათვის მოსაწყენი არ იყოს. მითუმეტეს სსსმ მქონე ბავშვებთან.

ჩვენ უნდა მივხვდეთ ,რომ  საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები სრულად უნდა იყვნენ ჩართულნი არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ სოციალურ პროცესებში ,მათ შორის მოსწავლეთა თვითმმართველობაში. სკოლა ვალდებულია , შექმნას ისეთი გარემო, რომელიც არ შეუზღუდავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს და  ხელს შეუწყობს მათი შესაძლებლობების განვითარებასა და სოციუმში ინტეგრაციას. ამგვარ გარემოში სხვა მოსწვლეებიც გააცნობიერებენ ,რომ არსებობს ორი მსგავსი შესაძლებლობების მქონე ადამიანი,რომ ყველა ადამიანი განსხვავდება ერთმანეთისგან თუმცა ყველა ერთმანეთის თანაწორია. მოსწავლეები განსხვავებულის  პატივისცემასა და მათზე ზრუნვას ისწავლიან.

**გამოყენებული ლიტერატურა :**


1. ა.გოგლიჩიძე,ა.არგანაშვილი,მ.ბიბილეიშვილი.“მონაწილეობასკოლისთვითმმართველობაში“. მოსწავლის წიგნი. 2015წ.

2. მ.ბაგრატიონი-გრუზინსკი,ჟ.კვაჭაძე,რ.ლორთქიფანიძე,ნ.გაჩეჩილაძე  -  „სწავლების  მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში“- გზამკვლევი მასწავლებლებისთვის

3. თ.გურგენიძე, kids.ge. ბავშვთა განათლებისა და განვითარების ცენტრის ფსიქოლოგი - „დაუნის სინდრომი „

4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი  -  „სწავლებისა  და  განვითარების  თანამედროვე  მეთოდები „ - სტრენინგო მასალა.



სოხუმის სახელმწიფო  უნოვერსიტეტი თანამედროვე ქართული ლიტ-რა და ლიტ-რის  თეორია. დოქტორანტურა- III კურსი.

**თამარ ვეფხვაძე**

სსიპ ქ. თბილისის N79 საჯარო სკოლა. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

## სწავლის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება სასწავლო პროცესში

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსი (კომენსკი) დიდაქტიკის პირველ და უკანასკნელ მიზნად მიიჩნევდა, ეპოვა და მასწავლებლამდე მიეტანა სწავლების ისეთი ხერხები/მეთოდები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე მასწავლებლის ნაკლები ჩარევით მეტს ისწავლიდა და სკოლაც უწინდებურად მოსაწყენი აღარ მოეჩვენებოდა. ამის მისაღწევად კომენიუსი მოითხოვდა დიდაქტიკური აზროვნების შეცვლას, რაც იმას გულისხმობდა, რომ მხოლოდ სწავლების შინაარსი კი არ უნდა ყოფილიყო მასწავლებლის ყურადღების ცენტრში, არამედ იმ ხერხების/მეთოდების ძიება და პოვნაც, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით აითვისებდნენ შინაარსს, ანუ შეემუშავებინათ სწავლების ახალი სტრატეგიები.

სწავლის სტრატეგია გულისხმობს შემეცნებითი პროცესების მიზანმიმართულ გამოყენებას სწავლის დროს.

**სწავლის რომელი სტრატეგიაა მნიშვნელოვანი?**

1. სწავლის სტრატეგიებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს კოგნიტურ და მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე ცოდნას მოიპოვებს, გადაამუშავებს, გააანალიზებს, კრიტიკულად შეაფასებს, გონებაში ჩაიბეჭდავს, საჭიროების შემთხვევაში გამოიხმობს და სხვადასხვა სიტუაციაში გამოიყენებს. მეტაკოგნიცია დამატებით ნიშნავს აზროვნებას საკუთარი აზროვნების შესახებ.

ძნელი სათქმელია, ჩამოთვლილ სტრატეგიათაგან (კოგნიტური, მეტაკოგნიტური, ემოციურ-მოტივაციური, სოციალური, რესურსებზე დაფუძნებული) რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტიანი სწავლისთვის, რადგან მათ მეტწილად კომპლექსურად იყენებენ (Weinert 1997).

სწავლა რომ სახალისო, საინტერესო პროცესად და ნამდვილ ინტელექტუალურ გამოწვევად იქცეს, პედაგოგმა სწავლება სხვადასხვაგვარი სტრატეგიის გამოყენებით უნდა დატვირთოს. მიმოვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

**აქტივობები ყურადღების კონცენტრირებისა და საკითხზე ფოკუსირებისათვის**

თუკი მასწავლებლის მიზანია, რომ მაქსიმალურად მიიპყროს მოსწავლეების ყურადღება და დააფიქროს ისინი ამა თუ იმ სკითხზე, მას ამისათვის დასჭირდება შემდეგი სტრატეგიები: ვიცი/ მინდა ვიცოდე/ გავიგე; . კორნელის გრაფა; კოგნიტური დიაგრამები/ სააზროვნო სქემები; პროექტებით სწავლება და ა.შ.

განვიხილოთ სტრატეგია: ვიცი/ მინდა ვიცოდე/ გავიგე

მასწავლებელი ავალებს თითოეულ მოსწავლეს , რომ ტექსტის წაკითხვამდე, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, შეავსოს პირველი და მეორე გრაფა, ტექსტის წაკითხვის შემდეგკი--მესამე. ეს სტრატეგია მოსწავლეებს ეხმარება გაანალიზონ, თუ რა ისწავლეს, რა გაიგეს ამ კონკრეტული მასალის შესწავლის შემდეგ, მასწავლებელს კი ეხმარება , დაადგინოს რა დარჩა გაუგებარი თითოეულ მოსწავლეს,რის მიხედვითაც გეგმავს მომდევნო გაკვეთილს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე.

საინტერესოა სტრატეგია: 3. 2. 1. მასწავლებელი ითხოვს, რომ მოსწავლეებმა ორი-სამი წინადადებით ჩამოწერონ: 3 რამ, რამაც დამაინტერესა; 2 რამ, რაზეც მეტი მინდა გავიგო; 1 რამ, რასაც გავაკრიტიკებდი/ რის შესახებაც დავწერ დავალებას. ეს სტრატეგია ხელს უწყობს კრიტიკული, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას, მასწავლებელს ეხმარება მომდევნო გაკვეთილი წარმართოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

**პროექტებით სწავლება:** სწავლების ეფექტური სტრატეგიებიდან ძალიან მნიშვნელოვანია პროექტებით სწავლება, რომელიც ხელს უწყობს ისეთი უნარების ჩამოყალიბებას, როგორიცაა კრიტიკული, ანალიტიკური, არგუმენტირებული აზროვნება, ინფორმაციის დახარისხება, კავშირი თანამედროვეობასთან და სხვა.

პროექტის დაგეგმვისას აუცილებელია სტრუქტურის დაცვა. არსებობს სასწავლო პროექტის გეგმის შაბლონი. მაგალითად:

1. პროექტის დასახელება: „ სინდისი- მამხილებელი გონება“--„ ქმნა მართლისა სამართლისა“ თუ შეურაცხყოფილი მამობრივი ღირსება?“ ( ალ. ყაზბეგი „ხევისბერი გოჩა“)
2. პროექტის შინაარსი: მოთხრობის უკეთ გასააზრებლად მოსწავლეები იკვლევენ მთის წეს-ჩვეულებებს, მწერლის ბიოგრაფიასა და ეთნოგრაფიულ წერილებს. ისინი ცდილობენ მოთხრობაში წამოჭრილი თემები თანამედროვეობასთან დააკავშირონ და იმსჯელონ ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა, ნაადრევი ქორწინება, მშობლის როლი, ბრძოლა სიყვარულთან და საკუთარ სინდისთან, შვილის მკვლელობა და თვითმკვლელობა. მოსწავლეები გუნდურად ეცნობიან ამავე თემაზე შექმნილ მსოფლიო კლასიკის ნიმუშებს და ავლებენ პარალელებს. თითოეული ჯგუფი იკვლევს საზოგადოების საჭიროებებს. ეცნობიან ე.წ. „დაუწერელ კანონებს“.
3. საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა.
4. საფეხური/ კლ.: საშუალო/ XI კლასი.
5. პროექტის განხორციელების დრო: 1 თვე
6. პროექტის საფუძველი/ საგნობრივი სტანდარტი : ქართ. XI.5 მოსწავლეს შეუძლია სხვადსხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება, მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.
7. პროექტის სასწავლო მიზნები/სწავლის შედეგები: მოსწავლეები განიხილავენ მოთხრობაში აღწერილ მოქმედებებს, თემებსა და პრობლემებს იმ კონტექსტში, რომლებიც დღესაც აქტუალურია. პარალელს გაავლებენ მსოფლიო კლასიკოსთა ნიმუშებთან-- პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“ და ნიკოლოზ გოგოლის „ ტარას ბულბა“. ჩაატარებენ კვლევას.
8. ზოგადი კითხვები:

   ა) მართავს თუ არა ბედი ადამიანის ცხოვრებას? არის თუ არა ყველაზე დიდი გამარჯვება საკუთარ თავთან მოგებული ომი?

   ბ) „ქმნა მართლისა სამათლისა თუ შეურაცხყოფილი მამობივი ღირსება“

   გ) რით არის მიღწეული მხატვრული ეფექტი?

   დ) 21-ე საუკუნეში როგორ გავიგოთ ფრაზა: „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!“ ან „კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი!“

ჯგუფები მოამზადებენ პრეზენტაციებს, რომლებშიც დეტალურად იქნება განხილული სასწავლო პოცედურები და წარადგენენ მჯელობისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია დაიგეგმოს ექსკურსია ყაზბეგში. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადოს და მოარგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. „სწავლება და შეფასება“--დამხმარე სახელმძღვანელო-II ნაწილი. თბ. 2009
2. „სოფიკო ლობჟანიძე სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები“. 16 მაისი, 2016წ
3. „ორიონი“- სასარგებლო ბლოგი.
4. mastsavlebeli.ge/uploads/resursebi/mnana%20boch.pdf

**ირმა თოდიძე**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტ მასწავლებელი
წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ საყდრიონის საჯარო სკოლის
ფიზიკის უფროსი მასწავლებელი

**თანამედროვე სწავლა/სწავლების მეთოდები**

**„კროსვორდებით სწავლება“**

ჩვენ ვცხოვრობთ 21- ე საუკუნეში, უდუდესი მიღწევებისა და ტექნოლოგიების ეპოქაში. ადამიანთა მოთხოვნილების ზრდამ გამოიწვია ტექნოლოგიების განვითარება, რომლის საფუძველიც არსებული ცოდნის გაუმჯობესება, კვლევების წარმოება და მიღებული შედეგების პრაქტიკაში დანერგვაა.

ყველა ეს რგოლი ვერ განხორციელდებოდა, თუ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად არ შეიცვლებოდა სწავლის ხარისხი, სწავლების მეთოდები, ცოდნის ათვისების სტრატეგიები და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის გზები.

უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა სკოლის დანიშნულებას: მოსწავლეებში მიზნობრივად დაგეგმილი ცოდნის, სხვადასხვა უნარების განვითარებასა და სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ეს ყველა რგოლი ერთად და ერთიანობაში განხორციელებული უზრუნველყობს ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად პიროვნების აღზრდას.

სწორედ ახლებური მიდგომით სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის საჭიროებაზე. მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების, კრიტიკული, კრეატიული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე, რაც ხელს უწყობს მათ სწორ ადაპტაციას კონკურენტულ გარემოში.

დღევანდელი საგანმანათლებლო სივრცე საშუალებას იძლევა მასწავლებელმა გაიაროს უამრავი ტრენინგი იმ მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენების შესახებ , რომელებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში სწორედ მაღალი სააზროვნო უნარებისა და პიროვნული მახასიათებლების , სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ყველაზე მთავარი და ნიშანდობლივი ისაა, რომ მასწავლებლები არა მარტო ვისმენთ ტრენინგებს, არამედ კონკრეტულად ამ აქტივობების განხორციელებას ვახდენთ ჩვენ სამუშაო პრაქტიკაში.

მე, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერების წარმომადგენელმა , გავიარე მრავალი ტრენინგი, მათ შორის კონსტრუქციული და მრავლისმომცემი აღმოჩნდა ჩემთვის STEM-ის პროგრამაში ჩართვა. სწორედ ამ ტრენინგების წყალობით ახლებური მიდგომები განვახორციელე გაკვეთილების დაგეგმვის დროს. შევისწავლე სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის:

- სტრატეგია “ამოიცანი და ახსენი”.
- მეთოდი- ვირტუალური ლაბორატორიები
- მმმ-(მტკიცება, მტკიცებულება, მსჯელობა.)
- მეთოდი: ვებ-ძიება
- სასწვლო გაჩერებებით სწავლება
- გამოკითხვა, როგორც განმავითარებელი შეფასება და ასე შემდეგ.

მთავარი ამ მეთოდების გამოყენების დროს არის მოსწავლეებში : შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ტრანსფერის, ანალიზის, სინთეზის განვითარება.

გამოკითხვა, როგორც განმავითარებელი შეფასება

განსხვავებული მიდგომები მაქვს მოსწავლეთა გამოკითხვასთან. თუ ძველი მიდგომით

მასწავლებელი უსვამდა მოსწავლეებს შეკითხვებს , ახლა ეს რამდენიმე წელია ჩემს პრაქტიკაში დავნერგე ისეთი მეთოდი მოსწავლეების გამოკითხვისა, როგორიცაა შეკითხვების ურთიერთდასმა ნასწავლი მასალიდან. (დაახლოებით: „გამოკითხვა, როგორც განმავითარებელი შეფასება) ე.ი არსი ასეთია: ერთ-ერთ მოსწავლეს გამოვიძახებ გაკვეთილზე და სხვები დაუსვამენ შეკითვებს. იცით, ჩემი მოსწავლეები მიეჩვივნენ შეკითხვების დალაგებას დონეების მიხედვითაც და ერთმანეთს

დიფერენცირებულ კითხვებს უსვამენ. მთავარი წესი ამ აქტივობისა ისაა, რომ მოსწავლე, რომელიც კითხვას სვამს თავად უნდა იცოდეს ამ შეკითხვის პასუხი და თავად მისცეს მოსწავლეს განმავითარებელი შეფასება...მე, ყოველთვის ყურადღებთ ვუსმენ და საბოლოო კომენტარსაც მე ვაკეთებ. ანუ, ერთი მოსწავლისთვის დასმული შეკითხვებით მეშემიძლია ერთრდროულად რამდენიმე მოსწავლის ცოდნა გადავამოწმო.. ესეც სახალისო და მამოტივირებელი აქტივობაა. შედეგზეც კარგად მუშაობს და მე, როგორც მასწავლებელი ამ აქტივობაში რეალურად ფასილიტატორის როლ ვასრულებ. ამ აქტივობის სარგებელი შემდეგია:

- მოწმდება ერთდროულად რამდენიმე მოსწავლის ცოდნა
- მოსწავლეებში შეკითხვის დასმის სწორი ფორმულირების უნარი
- მოსწავლეებში ანალიზის უნარი
- შეკითხვების სააზროვნო დონეების მიხედვით დალაგების უნარი
- მოსწავლეებში შეფასების უნარი
- კრიტიკული აზროვნების უნარი

**გაკვეთილი კროსვორდი**

საინტერესო და სასარგებლო აქტივობა იყო მოსწავლეებისათვის გაკვეთილი -კროსვორდის ჩატარება.

ამ აქტივობის მიზანი იყო: მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების და ბლუმის ყველა სააზროვნო დონის განვითარების ხელშეწყობა. ამ აქტივობას ძირითადად ვიყენებდი თემის შეჯამების დროს. მინდა ავღნიშნო, რომ ასეთი აქტივობის დროს მოსწავლეებში საერთოდ არ იგრნობოდა დაღლილობა, მთელი პროცესი ძალზედ საინტერესოდ და სახალისოდ მიმდინარეობდა, მაღალი იყო მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა. და მთავარი... ესაა აქტოვობა, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის სწრაფ გადამოწმებას ახდენს. ისინი არა მარტო ხსნიან ჩემს მიერ შეთავაზებულ კროსვორდს, არამედ თავადაც ადგენენ მათ (ანალიზი, სინთეზი, შეფასება)

გაგიზიარებთ ჩემს გამოცდილებას. რა ახალი მეთოდი შემოვიღე კროსვორდებით სწავლებისას?

მაგალითად: მერვე კლასის მოსწავლეები შეადგენენ თავიანთი ხელით კროსვორდებს, რომელსაც უგზავნიან მეცხრე კლასს. მეცრე კლასის მოსწავლეები ჯერ ამოხსნიან მერვე კლასის მიერ შედგენილს, შემდეგ თავად შეადგენენ და მეათე კლასს გაუგზავნიან და ასე შემდეგ...საბოლოოდ ამ აქტოვობებმა კონკურსის სახეც მიიღო და გამოვავლინეთ საუკეთესო სამეული, რომლებიც დავაჯილდოვეთ სიგელებით. კროსვორდების შეფასება მოვახდინეთ შეფასების შენდეგი კრიტერიუმებით:

- როგორი სიზუსტიტაა კითხვები შედგენილი?
- თემის შესაბამისობა მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან (შესაბამისი კლასისათვის დასაძლევია)?
- კროსვორდი ტექნიკურად სწორადაა გებული?(იგულისხმება აგების ტექნიკა)
- კროსვორდის გრამატიკულად გამართულობა.
- და მთავარი... პასუხების გაცემის დროს დამატებითი კითხვები არ უნდა გაჩნდეს.

სწორედ კროსვოდრების შედგენის დროს ხდება მოსწავლეებში ბლუმის ყველა სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა.

კერძოდ:

- მოსწავლე ავსებს კროსვორდს: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი...
- მოსწავლე მოიძიებს ინფორმაციას კროსვორდის შესავსებად: გამოყენება, ანალიზი--კრიტიკული აზროვნება...
- მოსწავლე ხაზავს კროსვორდს: გრაფიკული აზროვნება, ანალიზი, შემოქმედებითობა...
- მოსწავლე თავად ქმნის კროსვორდს: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უნარები და დონეები, დამატებული სინთეზი, შეფასება.

მოკლედ, კროსვორდზე მუშაობა და მითუმეტეს მისი შექმნა ეს არის ყველა სააზროვნო უნარების განვითარების და ჩამოყალიბებების ხელშეწყობა, რაც უდავოდ აუცილებელია  მოაზროვნე და ერუდირებული პიროვნების ჩამოყალიბებისთვის.


## ანა ანუშიძე

თბილისი, №133 საჯარო სკოლა
აჭარა, ბათუმი, კავკასიის ბიზნესის სკოლა
გეოგრაფიის, მათემატიკის, დაწყებითი კლასების და სამოქალაქო განათლების უფროსი მასწავლებელი,


### სწავლა - სწავლების საუკეთესო მეთოდები XXI საუკუნეში

XXI საუკუნეში, სკოლა - განათლების ცენტრი უნდა იყოს.

იმისთვის რომ სკოლა განათლების ცენტრად იქცეს, მან პირველ რიგში მისი პირდაპირი სამიზნე აუდიტორიის მოსწავლეების ინტერესები და საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს. რისთვისაც მშვიდი, მეგობრული, სწავლაზე ორიენტირებული, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნაა აუცილებელი. ეს, თავის მხრივ, რთული ამოცანაა, რომლის შესრულებისთვისაც ყოველდღიურ რეჟიმში ერთობლივად უნდა მუშაობდეს დირექცია, მასწავლებლები, ფსიქოლოგები, მოსწავლეები, მანდატურები, მოსწავლეების მშობლები, დიახ, სკოლა ყველას ეკუთვნის, პასუხისმგებლობა გაზიარებული უნდა იყოს და სკოლის თითოეულმა წარმომადგენელმა საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს სასკოლო გარემოს შექმნასა და განვითარებაში. მეორე მნიშვნალოვანი საზრუნავი სკოლის ხარისხობრივი ნაწილის გაუმჯობესებაა რაც ყოველდღიური, სწავლა - სწავლების პროცესის ეფექტიანობის ზრდაში უნდა გამოიხატებოდეს.

სკოლების ხარისხობრივი ნაწილის გაძლიერებისთვის აუცილებელია, უკვე ტრადიციული, ძალზედ ეფექტიანი სწავლა - სწავლების მეთოდები და სახალისო აქტივობები: გონებრივი იერიში, ასოციაციური რუკა, მრავალფეროვანი ტიპის წყაროების ანალიზი, რუკების ანალიზი, დისკუსია, დებატები, როლური თამაშები, ჯგუფური და წყვილებში მუშაობა, სხვადსხვა ტიპის დიაგრამების შედგენა, პლაკატების შექმნა, სასწავლო სახელმძღვანელოების მობილური აპლიკაციები, სხვადსხვა ტიპის ტესტები, ამოცანები დილემური სიტუაციების შესახებ, პრეზენტაციები, მოხსენებები, კვლევები, ტრენინგები მოსწავლეებისთვის, სასწავლო პროექტები, ფილმების ჩვენება - განხილვა, სასკოლო კონფერენციები, გასვლითი გაკვეთილები, სასწავლო ექსკურსიები მუზეუმებში, გავამდიდროთ და გავახალისოთ სწავლა - სწავლების პროცესში ციფრული ინსტრუმენტების შემოტანით და დანერგვით.

მოსწავლეების სასწავლო მოტივაციის ამაღლების მიზნით აუცილებელია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი, ციფრული ტექნოლოგიები (მობილურები, პლანშეტები, კომპიუტერები და ა.შ.) და ციფრული ინსტრუმენტები (Pressbook, Edmodo, Kahoot, Plickers, Padlet) სრულად, მაქსიმალურად ეფექტიანად გამოვიყენოთ სწავლა - სწავლების პროცესში. ამასთან, ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველდღიურ პროცესში ყველა მოსწავლისთვის და საერთოდ ყველა ადამიანისთვის.

ციფრული ინსტრუმენტების - აქტიური გამოყენება ყოველდღიურ სწავლა - სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად ზრდის ჩემი მოსწავლეების ინტერესს, უადვილებს მათ ნებისმიერი სირთულის ინფორმაციის აღქმას, დამახსოვრებას  და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს XXI საუკუნის შესაბამისი უნარ - ჩვევების განვითარებას.

განსაკუთრებით გამოვყოფ ჩემს მიერ Pressbook - ის გამოყენებით მსოფლიოს გეოგრაფიის, გლობალური გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების სასწავლო სახელმძღვანელოების მობილური აპლიკაციების შექმნას,  რამაც  მნიშვნელოვნად განაპირობა ჩემი მოსწავლეების წარმატებები ამ საგნებში, როგორც ყოველდღიურ სწავლა - სწავლების პროცესში ისე სასკოლო გამოცდებზე. დავამატებ, რომ Pressbook - ი საშუალებას გვაძლევს სრულყოფილი ელექტრონული ინტერაქტიული წიგნი ან კონსპექტი შევქმნათ ჩვენი მოსწავლეებისთვის, სადაც იქნება: თავფურცელი, სარჩევი, თავები, ცალკე გამოყოფილი საკითხები, ბლოსიტყვაობა და უცხო სიტყვათა ლექსიკონი. აღნიშნული ელექტრონული სახელმძღვანელო შეგვიძლია შევქმნათ როგორც შეზღუდული აუდიტორიისთვის ისე საჯაროდ ხელმისაწვდომ ფორმატებში, მოვახდინოთ მისი რედაქტირება ნებისმიერ დროს.

ციფრული ინსტრუმენტებიდან, სასწავლო რესურსის, განსაკუთრებით მრავალფეროვანი ტესტების, კითხვარების, ამოცანების, შემაჯამებელი სამუშაოების შესაქმნელად ვიყენებ Edmodo - ს და Kahoot - ს. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენებით შეგვიძლია სხვადასხვა ტიპის (დახურული და ღია კითხვებიანი) ნებისმიერი რაოდენობის ტესტის შექმნა, რომელზე მუშაობის დროსაც მოსწავლე ავტომატურ რეჟიმში ნახავს სწორიად გასცა თუ არა პასუხი კონკრეტულ შეკითხვას და როგორია მისი შედეგი ტესტზე მუშაობის დასრულების შემდეგ. მრავალრიცხოვან კლასთან მუშაობის დროს განსაკუთრებით მოსახერხებელია Plickers - ის პროგრამა რადგან აქ უკვე შეგვიძლია შევქმნათ კლასის ელექტრონული სია, შევარჩიოთ გამოკითხვის ფორმები, თემები და გამოვიყენოთ ის საკლასო გარემოს ეფექტიანად მართვისთვის.

მრავალფეროვანი ფუნქციებით გამოირჩევა Padlet - ი, რომლის გამოყენებითაც შეგვიძლია დისკუსიის, გონებრივი იერიშის, დებატების მოწყობა, ვიდეო რგოლების ჩვენება - გაზიარება, ჩანაწერების გაკეთება.

დასაწყისში აღვნიშნე, რომ ციფრული ინსტრუმენტების *(Pressbook, Edmodo, Kahoot, Plickers, Padlet)* გამოყენება ეფექტიანია და ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამისთვის კი სამი პირობის დაკმაყოფილებაა საჭირო:

1. უნდა მოხდეს თითოეული საგნის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში, მოსწავლეების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების დაგეგმვა და ჩართვა ყოვლდღიურ სწავლა - სწავლების პოცესში.

2. აღნიშნული ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების დეტალური ინსტრუქციების გაცნობა, რაც შესაძლებელია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე Tpdc.com გამოქვეყნებული სასწავლო ვიდეო რგოლების ნახვით და ასევე შეგვიძლია მისი მოძებნა YouTobe - ზე.

3. უნდა მოეწყოს სკოლებში „ციფრული საკლასო ოთახები“ რაც მათ შესაბამისი ტექნიკითა და უკაბელო ინტერნეტით უზრუნველყოფას გულისხმობს.

ამრიგად, სწავლა - სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების და ციფრული ინსტრუმენტების აქტიურად გამოყენებით, ჩვენ შევძლებთ გავზარდოთ მოსწავლეების ინტერესი თითოეულ საგანში, ამასთან გავუადვილოთ მათ ნებისმიერი სირთულის პრობლემის და ინფორმაციის აღქმა, გაანალიზება, კრიტიკული აზროვნება, რაც ასე მნიშვნელოვანია XXI საუკუნის თითოეული მოქალაქისთვის.

**რუსუდან ანუშიძე**

აჭარა, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლის საჯარო სკოლა
ისტორიის პედაგოგი

## როგორ გავუმკლავდეთ რთულად მართვად ქცევებს სწავლა - სწავლების პროცესში

სწავლა - სწავლების პროცესი რთული და საინტერესოა, რაც არ უნდა მდიდარი გამოცდილება ჰქონდეს პედადგოგს, მას მაინც სჭირდება ყოველ ახალ კლასთან მუშაობის დასაგეგმად მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება.

უპირველესია განწყობა და მასწავლებლის შინაგანი მზაობა კლასთან პირველი შეხვედრისთვის. აღსანიშნავია, რომ კლასთან პირველ შეხვედრაზე რომლის მთავარი დანიშნულება მოსწავლეების გაცნობა და მათი კეთილგანწყობის მოპოვებაა, დიდად არის დამოკიდებული შემდგომი სწავლა - სწავლების პროცესის განვითარება. თითოეულ კლასთან შესახვედრად მასწავლებელს, მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოები აქვს ჩასატარებელი. უპირველესად, დავგეგმოთ გაკვეთილის მსვლელობა, თუ როგორ გავიცნოთ მოსწავლეები, გავაცნოთ ჩვენი თავი და საგანი, ის აქტივობები და მუშაობის მეთოდები რომლების განხორციელებასაც ვაპირებთ, ვკითხოთ მათ რა სმენიათ ან უკვე რა იციან აღნიშნული საგნის შესახებ, როგორ გაკვეთილებს ისურვებდნენ, გამოკითხვის ფორმებს, სახალისო აქტივობებს, ვთხოვოთ გვესაუბრონ მათ ინტერესებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ვაგრძნობინოთ რომ მათი აზრები, სურვილები, ინტერესები მნიშვნელოვანია და მასწავლებელი

ამას გაითვალისწინებს, არ მივცეთ ცრუ დაპირება. აუცილებელია რომ პირველივე გაკვეთილზე დარწმუნდნენ მოსწავლეები მასწავლებლის ობიექტურობასა და კომპეტენტურობაში. სასწავლო წლის პირველივე კვირას უნდა მოხდეს ერთობლივი გააზრებული შეთანხმება სწავლა - სწავლების პროცესში მოსწავლისა და მასწავლებლის ქცევის ნორმების, უფლება - მოვალეობების შესახებ. მაგ: ურთიერთპატივისცემა, სხვისი აზრის მოსმენის უნარი, წესები დისკუსიისა და დებატების წარმართვის დროს და ა.შ.

კლასთან მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელმა უნდა მოიძიოს ინფორმაცია კლასის ხელმძღვანელისგან არის თუ არა კლასში განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლე და გაარკვიოს რა სახის დახმარება სჭირდება მას. შემდეგ, უკვე ამ მოსწავლესთან გაცნობისა და მისი ინტერესებისა და საჭიროებების უკეთ გაანალიზების შემდეგ შეადგინოს ისეთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მოსწავლის საკლასო აქტივობებში მაქსიმალურად ჩართულობას.

როგორც წესი, უკვე პირველივე კვირეებში თავს იჩენს მოსწავლეების ინდივიდუალური ხასიათი, ქცევის მახასიათებლები და დაკვირვებული მასწავლებლისთვის თვალსაჩინო ხდება არის თუ არა რთულად მართვადი ქცევის მქონე მოსწავლე კლასში.

რთულად მართვად ქცევებთან გამკლავებაზე ზრუნვა სასურველია დავიწყოთ ჯერ კიდევ მანამ, სანამ მათ თვალნათლივ დავინახავდეთ, ანუ მივმართოთ პრევენციის გზებს.

პირველ რიგში, აუცილებელია ნებისმიერი საგნის მასწავლებელმა გაკვეთილზე გამოყოს დრო კლასში სასწავლო გარემოს შექმნისთვის და მასზე ზრუნვისთვის. მასწავლებელი თავად უნდა გახდეს მაგალითი მოსწავლისთვის თავის სამართლიანი, ობიექტური, ადეკვატური, დროული და პროპორციული შეფასებებით. მნიშვნელოვანია, რომ განმავითარებელ შეფასებებსა და კომენტარებს დიდი წვლილი მიუძღვით საკლასო გარემოს, მთლიანად სასწავლო განწყობის ჩამოყალიბებაში. ამიტომ, ვიყოთ მეგობრული, მზრუნველი ამავდროულად პრინციპული, მშვიდი და გაწონასწორებული ნებისმიერ სიტუაციაში.

მაშინაც კი, როცა გულწრფელად ვთვლით, რომ მოსწავლის მიერ გამოთქმული აზრი, შეფასება, კომენტარი ან რეპლიკა არასამართლიანია ვაცადოთ მას აზრის დასრულება, პროტესტისა და განსხვავებული აზრის დაფიქსირება და მხოლოდ ამის შემდეგ, მშვიდად და არგუმენტირებულად გავაცნოთ ჩვენი მოსაზრება, დავუსვათ კითხვები, ვთხოვოთ არგუმენტების მოყვანა და საკუთარი აზრის დასაბუთება. მოსწავლე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას მოუსმენენ, რომ ის მეგობრულ გარემოშია და მასწავლებელი კი ყოველთვის ობიექტური და კეთილგანწყობილი.

სწორედ ასეთი კეთილგანწყობილი გარემოა სწავლა - სწავლების პროცესში რთულად მართვადი ქცევის პრევენციის გასაღები.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ თუ მიუხედავად ჩვენი თავდაუზოგავი მუშაობისა გამოვლინდა რთულად მართვადი ქცევა? მაგალითად: ბულინგი, მობინგი, ან რაიმე დესტრუქციული ქცევა, რაც ეწინააღმდეგება სასწავლო პროცესის გამართულ მიმდინარეობას? ასეთ დროს მნიშვნელოვანია მასწავლებლის ხელოვნება, კვლავ სიმშვიდე და პრობლემის გამორკვევასა და მოგვარებაზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმა. ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა მოსწავლესთან, შობლებთან, კლასის ხელმძღვანელთან, დირექტორთან, ფსიქოლოგებთან, ექსპერტებთან, მანდატურთან. რთულად მართვადი ქცევის მქონე მოსწავლის/მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ჩასართავად მუშაობის ხანგრძლივობა და სპეციფიკა ინდივიდუალურად განისაზღვრება. მაგრამ, მთავარია მთელი ამ მუშაობის პროცესში მოსწავლე ხედავდეს, რომ ჩვენ მისთვის, მისი მომავალი კეთილდღეობისთვის ვზრუნავთ და ვცდილობ გავუგოთ და დავეხმაროთ მას სირთულეების დაძლევაში, დავეხმაროთ წარმატებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

მართლაც, სწავლა - სწავლების პროცესი რთული და საინტერესოა, მისი სწორად წარმართვა მხოლოდ წრფელი გულით, საქმისადმი ერთგულებით, მოსწავლეებისადმი მეგობრული, სამართლიანი დამოკიდებულებით არის შესაძლებელი.

**ნათია აბულაძე**

სსიპ ქ. ქუთაისის N24 საჯარო სკოლა,
უფროსი მასწავლებელი, დამრიგებელი, შეფასების ჯგუფის წევრი, დაწყებითის კათედრის წარმომადგენელი

## მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში

სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისთვის. როგორიც არ უნდა იყოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, მშობლის მონაწილეობა შვილის განათლების პროცესში მოსწავლის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს.

მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებაზეც. სასწავლო პროცესში მშობელთა აქტიურობა ამდიდრებს სკოლის კულტურას და ხელს უწყობს მის განვითარებას. ამდენად, უკეთესი შედეგების მისაღწევად სკოლა და მასწავლებელი დაინტერესებული უნდა იყოს მშობლებთან აქტიური თანამშრომლობით.

**„მშობელთა ჩართულობა“** აღნიშნავს ერთობლივ და უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც შინ, ასევე სკოლაში. ის აერთიანებს მშობლებსა და მასწავლებლებს, რათა მათ ერთიანი ძალისხმევით შეუწყონ ხელი მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სასწავლო პროცესში მშობლების ჩართულობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საგანმანათლებლო სივრცეში. ამავე დროს ჩვენს ქვეყნაში პრობლემას წარმოადგენს მოსწავლეთა წიგნიერების დონე.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში ყოველთვის ვგრძნობდი სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის დეფიციტს. ისინი ან მშობელთა კრებებზე მოდიოდნენ სკოლაში, ან ჩემ მიერ მომზადებული ღონისძიებების სანახავად

ვფიქრობ, დაწყებით საფეხურზე მშობლის თანადგომის გარეშე მასწავლებელს გაუჭირდება მაღალი შედეგების მიღწევა. საქართველოში ჩატარებული ყველა საერთაშორისო კვლევა მოსწავლეთა წიგნიერების დაბალ დონეს გვიჩვენებს.

მშობელთა ნაკლები ჩართულობის მიზეზების გასარკვევად მოვიწვიე მშობელთა კრება. ვთხოვე კითხვარის შევსება, ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მიზეზი:

**მშობლებმა არ იციან:**

- რა გზით შეიძლება ჩაერთონ სასწავლო პროცესში.
- როგორ იზრუნონ შვილის განვითარებაზე (მხოლოდ გაკვეთილების მომზადებით შემოიფარგლებიან).
- არ იცნობენ ლიტერატურას მშობელთა ჩართულობაზე.

**მოსწავლეებმა კი:**

- გააცნობიერონ მშობლების როლი თავიანთ ცხოვრებაში ;
- დაეუფლონ ინფორმაციის მოძიებისა და დახარისხების სტრატეგიებს;
- განუვითარდეთ ჯგუფური მუშაობისა და თანამშრომლობის უნარ- ჩვევები;
- გაიღრმაონ პასუხისმგებლობის გრძნობა ;
- შეძლონ მოპოვებული ინფორმაციის შემოქმედებითად გამოყენება;

**მშობლები:**

- „დავაბრუნო“ ბავშვობაში.
- აქტიურად ჩავრთოთ სასკოლო ცხოვრებაში.
- გამოვიყენოთ ისინი, /როგორც ადამიანური რესურსი/, მოსწავლეთა
- შედეგების გაუმჯობესების, წაკითხულის უკეთ გაგება - გააზრების მიზნით.

  მშობელთა მიზანმიმართულად გააქტიურებაში დიდი დახმარება

გამიწია პროექტმა G-PRIED, კერძოდ, მშობელთა ჩართულობის გვერდმა. სადაც ვკითხულობთ: „კვლევა გვიჩვენებს, რომ ბავშვის მოტივაცია და მიღწევები უმჯობესდება, როცა მშობლები და აღმზრდელები აქტიურად მონაწილეობენ მის წიგნიერ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში“. ამ პროექტის დახმარებით მე შევძელი, კითხვა მშობლებისა და შვილებისთვის საყვარელ აქტივობად მექცია.

ყველა მშობელმა გამოთქვა მზადყოფნა, უფრო მეტი დრო დაეხარჯა შვილის ინტელექტუალური განვითარებისათვის.

გადავწყვიტე, მშობლები იმგვარად გამეაქტიურებინა, რომ მათ ჩართულობას მოსწავლეთა წიგნიერების დონე გაეზარდა, რადგან მოსწავლის სწავლის შედეგი მიიღწევა მაშინ, როდესაც მასწავლებელი და მშობელი ერთად მსჯელობენ, გეგმავენ, ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას ბავშვის საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

პროექტი გათვლილი მქონდა მთელ სასწავლო წელზე ყოველი კვირის პარასკევს თითოეული მშობელი და მოსწავლე საკუთარი თემის პრეზენტაციას წარმოადგენდა კლასის წინაშე.

პროექტი კი დასრულდა ღონისძიებით და მშობლებს და მოსწავლეებს გადაეცათ წამახალისებელი სერთიფიკატები.

**ამ პროექტმა ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც მოსწავლეებზე, ასევე მშობლებზე.**

მოსწავლეები და მათი მშობლები წამოჭრილ პრობლემებს ხან მარტო, ხან ჩემთან თანამშრომლობის გზით უმკლავდებოდნენ , სახავდნენ პრობლემის გადაჭრის გზებს .

პროექტზე მუშაობის პერიოდში მოსწავლეებს განუვითარდათ

თვითშეფასების უნარი. მათ კარგად შეაფასეს თავიანთი ნამუშევრების დადებითი და უარყოფითი მხარე.

მოსწავლეთა და მშობელთა დიდი ნაწილის პრეზენტაცია გამართული და წარმატებული იყო, თუმცა რამდენიმე მათგანმა აღნიშნა , რომ დასახვეწი ჰქონდათ აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციის უნარი.

მშობლების მხრიდან დიდი სურვილი და მონდომებაა საჭირო, სკოლებმა კი მათთან უნდა ითანამშრომლონ, რათა სკოლას და ოჯახს ერთნაირი მოლოდინები ჰქონდეთ და სწავლების პროცესს ხელი შეუწყონ.

კვლევამ აჩვენა, რომ სკოლებმა, სადაც მშობელთა ჩართულობის ეფექტური პროგრამები არსებობს, მიიღეს მრავალი პოზიტიური შედეგი, როგორიცაა:

- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება;
- მოსწავლეთა მაღალი დასწრება საგაკვეთილო პროცესში;
- მოსწავლეთა კარგი ყოფაქცევა;
- მშობლების ნდობის ამაღლება სკოლისა და სწავლებისადმი.

**მათიკო კოჩაძე**

პედაგოგი, KEY CONSULTING-ის წარმომადგენელი ქუთაისში

**წერისა სწავლება დაწყებით საფეხურზე ტექნოლოგიების დახმარებით**

რადგან 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ერაა ადამიანი ვალდებულია, ტექნოლოგიების განვითარების ტემპს აჰყვეს და მისი ჩარჩოდან არ ამოვარდეს, რადგან ამოვარდნა უკუსვლას ნიშნავს, ხოლო უკუსვლა, ადამიანური რესურსების უდიდესი კონკურენციის ველზე სახიფათოა. თანამედროვე ადამიანისთვის ინტერნეტის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, ევროპის ზოგიერთი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცე ხაზს უსვამს ციფრული კომპეტენციის დიდ მნიშვნელობას, რომელსაც  განსაკუთრებული ადგილი უკავია ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრებაში. მას წიგნიერების ზოგად ცნებაში აერთიანებს და კითხვის, წერის, მოსმენისა და მეტყველების გვერდით აყენებს. ეროვნული სასწავლო გეგმა ციფრულ წიგნიერებას განმარტავს როგორც ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავებისა და ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარს და აზუსტებს, რომ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი დ აინოვაციური მიდგომების გამომუშავებას.

ასევე, მოსწავლეთა მეტყველების დაბალი კულტურ ამრავალგზის დადასტურებული ფაქტია და გადაულახავ სირთულედ არის ქცეული ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. არა ერთი მცდელობის მიუხედავად, სწავლების სისტემაში ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. მიზეზი მრავალია: ლექსიკის სიღარიბე, ფრაზების გაუმართაობა, გრამატიკული ნორმების არცოდნა, აზრის სრულყოფილად გადმოცემისთვის საჭირო საშუალებებისადმი ზერელე დამოკიდებულება ან მათი სრული იგნორირება და სხვა.

წერის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია. პირველი კლასიდან მოსწავლეებს წერის საბაზისო უნარებთან ერთად თანდათანობით უვითარდებათ წერილობით აზრის გადმოცემის, ნაწერის გადასინჯვა-გადამუშავების, სხვადასხვა საკითხზე წერითი სწავლის უნარები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით , მოსწავლეს უნდა შეეძლოს : სხვადასხვა სახის ტექსტის შეთხზვა, შესწავლილი ტექსტის  შინაარსის დაწერა, საკუთარი მოსაზრებებისა და  შთაბეჭდილებების წერილობით გადმოცემა, წერის სტრატეგიების (გეგმის შედგენა, ნაწერის გადამუშავება და რედაქტირება) გამოყენება, წინადადებების გამართულად აგება, პუნქტუაციის ძირითადი წესების დაცვა და ა.შ

მისი სწავლება ხანგრძლივი და რთული პროცესია.იგი მოითხოვს სისტემურ მუშაობას, მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებას, რათა მოსწავლე დაეუფლოს სხვადასხვა სახის დანიშნულებისა და  სტილის მიხედვით განსხვავებული ტექსტების შექმნას.ამ მიზნის მისაღწევად ბავშვმა თანდათანობით უნდა გააცნობიეროს ნაწერის ყველა ძირითადი მახასიათებელი, როგორებიცაა: თემა და იდეა, სტრუქტურა და შინაარსი, ტონი და სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაციაა. ამიტომ კითხვის სწავლების მსგავსად წერის სწავლებაც პასუხისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემის მოდელს ეფუძნება.ეს პროცესი მიმდინარეობს მოდელირების, ერთობლივი ვარჯიშის, მართული პრაქტიკის, დამოუკიდებელი წერის ციკლების უწყვეტი მონაცვლეობით.

მეც ამ პრობლემის გადაჭრისთვის პირველი კლასიდანვე დავიწყე მუშაობა, ვიყენებ სხვადასხვა ინტერვეციებს , გაგიზიარებთ რამდენიმეს.

ერთ-ერთი არის **„მინიშნებები თავისუფალ თემაზე წერისათვის“**

ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი , რომელიც მოსწავლეებს აძლევს შემოქმედებითი თვითგამოხატვის საშუალებას. მოსწავლეები წერენ მცირე ზომის ამბავს ბუკში , მოთხრობას მასწავლებლის მიერ შეთავაზებული სურათის მიხედვით. მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიან ნამუშევარს  „საავტორო სკამის მეშვეობით“ ალბათ ჩნდება კითხვა რატომ ბუკში და არა რვეულში? ბუკში იმიტომ, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებიდან  ყველა ბავშვს სიამოვნებს მასში მუშაობა, შეუძლია დაწერილი წაშალოს, ისევ აკრიბოს, სასურველი ფერის შრიფტი, დიზაინი შეურჩიოს. მუშაობა მისთვის სიამოვნებაა და უფრო მაღალი მოტივაციით უდგება.

**„ლიტერატურული დღიური“**

ამ აქტივობასაც ბუკის დახმარებით აკეთებენ.დღიური წერის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებააპირველივე კლასიდანვე.ზოგიქვეყანა მას წერის სწავლების წამყვან საშუალებადაც იყენებენ. ის კარგი საშუალებაა წერის შედარებით ფორმალიზებულ საფეხურზე (მაგ. წერის ხუთსაფეხურიან მოდელზე, ან თუნდაც , ესეების თხზულებების წერაზე) გადასავლელად. ლიტერატურულ დღიურში მოსწავლეები წერენ რეფლექსიას, საკუთარ მოსაზრებებს ნაწარმოების თემის, იდეის, პერსონაჟის (მისი ქმედებების, გრძნობების) შესახებ.

**მოსწავლეებს ვთავაზობ ჩასაწერად სხვადასხვა თემას:**

- რომელ პერსონაჟს შეხვდებოდი? რაზე ისაუბრებდით?
- გამოთქვი ვარაუდები წიგნის დასრულებამდე.
- გაიხსენე , რას ვარაუდობდი, რას ფიქრობდი კითხვის პროცესში?
- შენი სიტყვებით განმარტე უცნობი ლექსიკური ერთეულები
- დაწერე რატომ ურჩევდი ამ წიგნის წაკითხვას სხვას?

**მობილური ტელეფონით კომიქსის შექმნა** - ეფექტიანი საგანმანათლებლო ინსტრუმენტია, მათი გამოყენება ნებისმიერი  საგნის სწავლებისას შეიძლება. მისი მთავრი ხიბლი ნახატისა და ტექსტის ჰარმონიული ერთობლიობაა, კითხვა აქტიური პროცესია, მოსწავლეთა ჩართულობა მაქსიმალურია. ისინი  დიდი ინტერესითა და შემოქმედებითად უდგებიან დავალებებს. კომიქსების დროს ტვინი ერთდროულად ამუშავებს ტექსტს და გამოსახულებას.მისგან მიღებულ ინფორმაციას ტვინი 10-ჯერ უფრო სწრაფად ამუშავებს.ვიყენებ მობილური ტელეფონის შემდეგ აპლიკაციებსMojiPop, ComicsPanelCreators,  ComicCreator. მოსწავლე რომელსაც ასოების გაერთიანება და სიტყვების გააზრებულად ამოკითხვა უჭირდა, ამ რესურსების დახმარებით მალევე ისწავლა წერა-კითხვა.

**ასეთი აქტივობებისგამოყენების დროს მოსწავლე:**

- იწაფება წერასა და კითხვაში
- ითვისებს გრამატიკულ ნორმებს და იწაფება მართლწერაში.
- იძენს თავდაჯერებულობასა და გაბედულებას წერისას.
- ეძლევა თავისუფალი , დამოუკიდებელი აზროვნების და რეფლექსიის საშუალება
- უკეთ ხედავს და აცნობიერებს საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს.
- ივითარებენწარმოსახვისუნარს
- გამოხატავენთავიანთემოციას, განცდებს, მოსაზრებებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I- VI)-  G-PRIED



მათიკო კოჩაძე- პროფესიით დაწყებითი კლასების პედაგოგი განათლების სფეროში უკვე თხუთმეტი წელია ვმოღვაწეობ.  ამჟამად ვასწავლი სსიპ - ქალაქ ქუთაისის N 24 საჯარო სკოლაში. ვარ უფროსი მასწავლებელი, დამრიგებელი, ფასილიტატორი, საგანმანათლებლო ვებგვერდის etaloni.ge-ს კოორდინატორი. მუდვივად ვზრუნავ პროფესიულ განვითარებაზე,გავიარე გარე დაკვირვება, რათა კიდევ ერთი საფეხურით წავიწიო წინ, ვმონაწილეობ სხვადასხვა სახის პროექტებსა და კონფერენციებში, მაქსიმალურად ვესწრები ტრენინგებს. სკოლაჩართული იყო პროექტ G-pried-ში, სადაც ასევ ევიყავი ფასილიტატორი. აქტიურად ვთანამშრომლობ სხვადასხვა სკოლის პედაგოგებთან და უნივერსიტეტებთან.

**ლელა საჯაია**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ოზურგეთის წმიდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

**ინოვაციური მეთოდი-„ესტაფეტა“**

სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია ინტერაქტიული სწავლება, რომელიც გულისხმობს მოსწავლეებისათვის სასიამოვნო და სახალისო განწყობის შექმნას, გაკვეთილის პროცესში აქტიურად ჩართვას და სასწავლო მიზნების მაქსიმალურად მიღწევას. მოსწავლეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი შესაძლებლობებით, აღქმის ტემპით, სწავლის სტილით. ამიტომ , შედეგის მისაღწევად აუცილებელია სასწავლო პრაქტიკის მრავალფეროვნება, ხერხების, მეთოდების მონაცვლეობა, სხვადასხვა ფორმის გამოყენება.

დიდი მნიშვნელობა აქვს თანატოლებისაგან სწავლის პრინციპის  გამოყენებას თანამედროვე განათლების სისტემებში. დ. პერკინსის აზრით, ბავშვებს, ისევე როგორც ზრდასრულებს, ძალიან ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ ერთმანეთისაგან და მასწავლებლის ვალდებულებაა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ამ ბუნებრივი პროცესის ეფექტურ განხორციელებას.

ჩემს მიერ დანერგილ სასწავლო მეთოდს ჩემმა მოსწავლეებმა სახელად „ესტაფეტა“ დაარქვეს. ის შეიძლება გამოვიყენოთ ყველა მიმართულების საგნის სწავლების დროს, რადგან ხელს უწყობს მოსწავლეებს, ადვილად გაიგონ მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი და ეფექტურად დააკავშირონ მანამდე მიღებულ ცოდნასთან.

მეთოდის არსი შემდგომში მდგომარეობს:  თითოეული მოსწავლე გაკვეთილიდან რიგრიგობით ამბობს თითო წინადადებას. მომდევნომ არ უნდა გაიმეოროს წინა მოსწავლის ნათქვამი. ყოველი ახალი წინადადება აზრობრივად გამართული და თანმიმდევრული უნდა იყოს, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ახალი წინადადება არ იყოს კონტექსტიდან ამოვარდნილი. არ შეიძლება ერთი მოსწავლე პასუხის მოსაფიქრებლად შეყოვნდეს 15-20 წამზე მეტ ხანს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თამაშს ეთიშება და თხრობას აგრძელებს მომდევნო. დასაშვებია მოსწავლემ გამოთქვას თემასთან დაკავშირებით თავისი შეხედულება, ვარაუდი, ისაუბროს მის გამომწვევ მიზეზებზე, დაუკავშიროს ნაცნობ, მსგავს ან განსხვავებულ მაგალითს, მოიყვანოს არგუმენტები, შეაფასოს მოვლენა, ფაქტი. თამაში გრძელდება და წესების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლე ეთიშება ჯგუფს. მოსწავლეები პასუხობენ ადგილიდან, ფეხზე ადგომის გარეშე. თამაში მიმდინარეობს სწრაფი ტემპით. თამაშში რჩება 3 ნახევარფინალისტი, შემდეგ 2 ფინალისტი, საბოლოოდ კი ვლინდება ერთი გამარჯვებული მოსწავლე, რომელსაც კლასი აპლოდისმენტებით, ხოლო მასწავლებელი მაღალი ქულით აჯილდოებს.

გამოკითხვის მეთოდი „ესტაფეტა“ ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. კლასში ყველა მოსწავლეს ეძლევა საშუალება გამოამჟღავნოს საკუთარი შესაძლებლობები. ზრდის მოტივაციას, რადგან კონკურენტული გარემო ერთ-ერთი მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლების პროცესში. მაღალი მოტივაცია განპირობებულია იმით ,რომ მოსწავლე, რომელმაც ვერ გამოავლინა  საკუთარი შესაძლებლობები, ცდილობს თავადაც  გახდეს წარმატებული და მომდევნო გაკვეთილზე მოგვევლინოს ლიდერის ამპლუაში.

„ესტაფეტა“ მცირე დროში იძლევა ბევრი მოსწავლის გამოკითხვის საშუალებას. მსგავსი გამოკითხვა საშუალებას იძლევა მასწავლებელმა თავისუფლად მართოს დროის რეგლამენტი და ახალი მასალის ასახსნელად საკმარისი დრო დარჩეს. წარმოუდგენელია , სხვა შემთხვევაში ,ერთდროულად , ერთ გაკვეთლზე შეფასდეს 28-30 მოსწავლე.

მეთოდი „ესტაფეტა“ ზრდის მოსწავლეთა მობილიზებას, ორგანიზებულობას და ჩართულობის ხარისხს , ახდენს ყურადღების  კონცენტრაციას ერთ კონკრეტულ თემაზე, რადგანაც მოსწავლე ეთიშება თამაშს, თუ იგი გაიმეორებს პირველი მოსწავლის უკვე ნათქვამს. მსგავს შემთხვევაში მთელი კლასი ინტერესითა და ყურადღებით აკვირდება თამაშის უმნიშვნელო დეტალსაც კი. მეთოდი ეხმარება  მოსწავლეებს იმის გააზრებაში, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი საკუთარ სწავლას, როგორ უნდა მართონ საკუთარი განვითარების, სწავლის პროცესი. ეს მეთოდი ეხმარება  განსხვავებული ათვისების უნარის მქონე ბავშვებს მასალის უკეთესად გააზრებაში.

მოსწავლეები მახსწავლებლის მითითების გარეშე  თავად ხვდებიან შეცდომას , არასწორ პასუხს და თავადვე უსწორებენ მეგობარს. მსგავსი ჩარევა არავისთვისაა საწყენი , ის ყველასათვის მისაღებია, რადგან თამაშს წესების შემადგენელი ნაწილია. გამორიცხულია დაცინვა, სარკაზმი. მოსწავლეებს ,

თამაშის წესდებიდან გამომდინარე, ამის არც დრო და არც უფლება არა აქვთ .

მეთოდი „ესტაფეტა“ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოთქვან თავიანთი აზრი ხსენებულ საკითხთან მიმართებაში. იგი მოსწავლეებს უყალიბებს ლოგიკურ აზროვნებას. ხელს უწყობს მოსწავლეთა აზროვნების განვითარებას მაღალი სააზროვნო დონეების მიხედვით. აღნიშნული გამოკითხვა მოსახერხებელია ნასწავლი მასალის განმტკიცების დროს, შემაჯამებელ გაკვეთილებზე ან ჩვეულებრივ გაკვეთილზე რეფლექსიის ეტაპზე. ის ეხმარება მოსწავლეებს არა მარტო კარგად დაიმახსოვრონ ნასწავლი მასალა, არამედ მთლიანობაშიც აღიქვან იგი. „ესტაფეტა“ ასევე შეიძლება გამოვიყენოთ გაკვეთილის დასაწყისში ახალი თემის ახსნის დროს, როცა გვინდა რაიმე მასალის გახსენება და წინარე ცოდნაზე ახლის დაშენება.

ამ მეთოდით მოსწავლეები თავისუფლდებიან კომპლექსებისაგან. ბევრ მოსწავლეს უჭირს თხრობა. ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულია გატდატეხის ასაკში მყოფი მოსწავლეებისათვის. ხმის ტემბრი, საუბრის მანერა, მეტყველების თავისუფლება ასაკის მატებასთან ერთად იცვლება. ბევრი მოსწავლე, განსაკუთრებით ვაჟები, საერთოდ უარს ამბობს ისაუბრონ საგაკვეთილო თემაზე. ამას ზედ ერთვის საყოველთაოდ აღიარებული სახელმძღვანელოების სირთულე. მათ უძნელდებათ ტექსტების გადმოცემა, მოკლე წინადადებებით კი ისინი თანდათან ძლევენ ბარიერს, თავისუფლდებიან კომპლექსებისაგან, უყალიბდებათ საკუთარი თავის რწმენა.

აღსანიშნავია, რომ თამაშის დასრულების შემდეგ თამაშისაგან გამოთიშულ თითოეულ მოსწავლეს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ეუფლებათ. ზოგადად, ბავშვების უმრავლესობას საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ, მიაჩნიათ , რომ ბევრი იციან და მეტი კითხვა მათთვის საჭირო არაა. გაკვეთლის პროცესში კი ისინი აღმოაჩენენ, რომ ვიღაცას მეტი შეუძლია, ვიღაცამ მეტი იცის და ეს ვიღაცა მისი ტოლია, მისი მეგობარი, რომელიც იმავე პირობებში ცხოვრობს და სწავლობს, როგორშიც თვითონ, იმავე წიგნით მუშაობს და იგივე მასწავლებელი ჰყავს. განსხვავება კი მხოლოდ ისაა, რომ მან ნაკლები წაიკითხა, უფრო ცოტა დრო დაუთმო შესასწავლ მასალას და შედეგიც მაშინვე მოიმკა და არა წლების მერე, რასაც ჩვეულებრივ მოსწავლე ყურადღებას არ აქცევს ხოლმე: მან კონკურენცია ვერ გაუწია მისსავე თანატოლს.

სასწავლო მეთოდი „ესტაფეტა“ მოსწავლეთა გარეგანი მოტივაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. თამაში აზარტულია, მარტივად აღსაქმელი და სახალისო . მოსწავლეები ასეთ გაკვეთილზე ნაკლებად ქმნიან დისციპლინურ პრობლემებს და ემორჩილებიან წესებს, რომელიც მასწავლებელმა თამაშის წესებად შესთავაზა. აქ ის ატმოსფეროა, სადაც სწავლა სასიამოვნო და უწყვეტი პროცესია. ამ შემთხვევაში მოსწავლეთათვის გაკვეთილი რუტინა არაა. მოსწავლეები ახდენენ საკუთარი ცოდნის აქტიურ კონსტრუირებას იმის საფუძველზე, თუ რა ინფორმაცია მიიღო მასწავლებლისაგან, კლასელებისაგან. მსგავსი სწავლება გულისხმობს მოსწავლეთა დახმარებას არა მარტო სწორი პასუხის გასაცემად, არამედ საკუთარი აზრის ჩამოსაყალიბებლად. მოსწავლე სწავლობს არა აბსტრაქტულად, არამედ მიღებული ინფორმაცია კავშირშია იმასთან, რაც უკვე იცის.

„ესტაფეტა“ იმითაც არის საინტერესო,რომ გაკვეთილზე მნიშვნელოვანია აქტიური მოსმენა. ზოგადად, ყურადღების დეფიციტი სერიოზული პრობლემაა არამარტო ბავშვებსა და მოზარდებში, არამედ ზრდასრულ ადამიანებშიც კი. მოსწავლეს აქ არა მარტო მასწავლებელი უსმენს ყურადღებით, არამედ მისი თანაკლასელებიც. როდესაც მოსწავლე გრძნობს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია და ყურადსაღები, ის უფრო მოტივირებულია, პასუხისმგებლიანი და შესაბამისად წარმატებულიც.

მასწავლებელი ამ მეთოდით ეხმარება მოსწავლეებს მაღალი მოლოდინისა და შესაბამისი აკადემიური მოსწრების მიღწევაში. მოსწავლეების მიერ ხდება ერთ საკითხზე ფოკუსირება. პროცესის სწორად წარმართვისათვის მოსწავლეები ხვდებიან რომ მხოლოდ სახელმძღვანელო არ არის საკმარისი საჭირო რესურსი. ისინი ბევრ დამხმარე მასალას იყენებენ გაკვეთილის მოსამზადებლად: არასაპროგრამო ლიტერატურას, ინტერნეტს, ამხანაგისაგან მიღებულ ინფორმაციას, ასევე საკუთარ დამოკიდებულებებსა და გამოცდილებებს. მეთოდი ხელს უწყობს მეტყველების რედაქტირებას, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზსა და შეჯამება-შეფასებას.

მოსწავლეებისათვის უმნიშვნელოვანესია კრიტიკული აზროვნების განვითარება.კრიტიკული აზროვნება მოითხოვს შესაბამისი ან საუკეთესო პასუხის მოძებნას, ახსნას,ლოგიკურ დასაბუთებას, შედარება-შეპირისპირებას, კანონზომიერების დანახვას, პარალელების გავლებას, კავშირების მოძებნას, ვარაუდის ფორმულირებას. „ესტაფეტა“ კი სწორედ ის მეთოდია, რომელიც ყოველივე ზემოთჩამოთვლილის განმტკიცებას ემსახურება. ასევე პრობლემის გადაჭრისას არასტანდარტული

პასუხების მიგნების შესაძლებლობას იძლევა. ხასიათდება იდეების სიმრავლით, მრავალფეროვნებით ( მოქნილობა, საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვა), სიახლით ( ორიგინალობით) და გარდაქმნის უნარით ( ძველი იდეების საფუძველზე ახლის შექმნა).

სასწავლო მეთოდის „ესტაფეტას“ გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ხელისშემშლელი ფაქტორები. ყურადღება უნდა მიაქციოს ისეთ ნიუანსებს, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები მიზანთან მიმართებაში. უპირველესად გაითვალისწინოს რისკები, რომლებიც შესაძლოა ახლდეს არასწორად დაგეგმილ კონკურენტულ სწავლებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის წარდგენა. წარმოუდგენელია, მოსწავლეებმა დაიმახსოვრონ ყველა ის ინფორმაცია, რაც მათ მასწავლებლის მიერ მიეწოდებათ. ტექსტიდანაც უძნელდებათ არსებითი ინფორმაციის ამოცნობა და მეორეხარისხოვანზე ამახვილებენ ყურადღებას. ასეთი რამ შეიძლება განმეორდეს „ესტაფეტას“ მსვლელობის პროცესშიც. მაგრამ მასწავლებელს შეუძლია მიზანმიმართულად დაეხმაროს მათ, ისე რომ ეს ხარვეზად არ იქცეს.

გასათვალისწინებელია, რომ ამ მეთოდის გამოყენების საჭიროება შეესაბამებოდეს გაკვეთილის მიზნებს. ასევე აუცილებელია მასალის ცოდნა, დროის მართვა და სივრცის ორგანიზება, ისე, რომ ყველა მოსწავლეს შეეძლოს ერთმანეთის მოსმენა. ამისათვის სასურველია წრიული განლაგება, რომელიც ქმნის თანაბარი მონაწილეობის განცდას და სურვილს.

მეთიდის ახსნისას მნიშვნელოვანია პროცედურის თვალსაჩინო მოდელირება, რომელიც გულისხმობს მოსწავლეებისათვის პროცედურის დემონსტრირებას. სწავლების ამ სტრატეგიის რამდენიმეჯერ გამოყენება შესაძლებელს გახდის მოსწავლეებმა სწრაფად აითვისონ თამაში, შესაძლებელია თამაშის წესები რამდენჯერმე შევახსენოთ მათ, გამოვაკრათ ოთახში, ან ჩამოვუწეროთ დაფაზე. არ არის გამორიცხული, ეს ვინმეს დროის დაკარგვად მოეჩვენოს, მაგრამ აუცილებელია სწავლების სტრატეგიების მოსწავლეთათვის ახსნას დიდი დრო დაეთმოს და მასწავლებელმა არ ჩათვალოს, რომ ეს სამუშაო მას დროს აკარგვინებს.

მიმაჩნია, რომ დაინტერესებული თვალი უფრო წარმოაჩენს „ესტაფეტას“ დადებით და უარყოფით მხარეებს, რაც კიდევ უფრო მეტად სრულყოფს მას და აქცევს მოსწავლეთათვის საყვარელ მეთოდად, რომელიც სწავლება-სწავლის პროცესს საინტერესოს, ეფექტურს და წარმატებულს გახდის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. სწავლება და შეფასება-რუსუდან ტყემალაძე, ნანა დალაქიშვილი.2009წ.-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
2. ეფექტიანი სწავლება/თეორია და პრაქტიკა/-ნუცა კობახიძე.2010წ.-გამოცდების ეროვნული ცენტრი.
3. სასწავლო გარემო,მოტივაცია და კომუნიკაცია,სასწავლო პროცესი.-2016წ.-ლიბო MNT
4. მეთოდური ჟურნალი-ახალი საუკუნე-თანამედროვე სკოლა #2.-ლიბო MNT.

**ნინელი ხუხია**

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, წამყვანი მასწავლებელი

## მშობელთა ჩართულობა ბავშვის აღზრდაში

აღზრდა ეს არის მიზანმიმართული ფორმირების პროცესი ბავშვის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის. ბავშვის აღზრდა მშობლების უდიდესი პასუხისმგებლობაა. როგორ უნდა აღიზარდოს ბავშვი სწორად? ვინ უნდა ითამაშოს ამ პროცესში უდიდესი როლი? რა განაპირობეს მის სწორ ფორმირებასა და სოციალიზაციას? სკოლა თუ მშობელი? ძალიან ბევრი სხვა კითხვა აწუხებს ყველა იმადამიანს, ვინც იცის რას ნიშნავს, იყო მშობელი. მშობელი უნდა აცნობიერებდეს იმას, რომ ბავშვი არის სოციალური გარემოს ნაწილი და შესაბამისად უნდა მოხდეს მისი ადაბტაცია. თუკი მშობლები შვილების მიმართ საჭირო მზრუნველობას არ იჩენენ, არ არიგებენ, არ ასწავლიან კეთილ წესებს, პასუხი მშობლებს მოეთხოვებათ.ზოგიერთი მშობელი ისე ნაზად და რბილად ზრდის თავის შვილებს, რომ არ სურს დანაშაულის გამო მათი დასჯა და ნებას აძლევს უშიშრად და თავნებობით იცხოვრონ. სხვები უზომო მრისხანებით ზრდიან და კი არ სჯიან , არამედ საკუთარ მრისხანებასა და მძვინვარებას ანთხევენ მათზე. ერთნიც და მეორენიც სცოდავენ. უგუნური სიმკაცრეცა და შემწყნარებლობაც ყველაფერში დაგმობილია ერთს მოდუნებისკენ , თვითნებობისკენ, გახრწნილებისკენ და დაღუპვისკენ მიჰყავს ბავშვი. მეორე – ნაღვლიანობას, გაღიზიანებასა და მოწყენილობას წარმოშობს მათში. ყველაფერშიზომიერებაა საჭირო. სწავლისა და აღზრდის პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენების დროს მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ სკოლა არის საზოგადოების ნაწილი, რომელშიც მოიაზრება მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. თანამშრომლობა სკოლასა და საზოგადოებას შორის ხელს უწყობს მოსწავლეების, მშობლებისა და საზოგადოების წევრების სასწავლო გამოცდილების განვითარებას,რადგან ადამიანურ რესურსს დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის განვითარებისთვის. თუ ჯაჭვს აკლია რომელიმე რგოლი, მისი მთლიანობა ირღვევა და გვაძლევს გაფრთხილებას -sos. სამი მყარი და ძლიერი რგოლი ჯაჭვისა, რომელთა გამძლეობაზე და სიმტკიცეზეა დამოკიდებული სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბება ეს არის --სკოლა - საფუძველი, ოჯახი - საყრდენი, საზოგადოება --კედელი და თუ რომელიმე გაწყდება, შედეგი არ გვექნება.ერთი რამ ნათელია, სამივე რგოლის ურთიერთთანამშრომლობის გარეშე რთულია მიზნის, მიღწევა, აღზარდო ბავშვი, ჩამოაყალიბო პიროვნება!

მასწავლებელი და სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეთა წარუმატებლობისა და ცუდი ყოფაქცევისათვის მშობელს ადანაშაულებენ. კეთილი, მაგრამ ვინ ეხმარება მშობლებს? იმისათვის, რომ სკოლასა და ოჯახს შორის ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია შედგეს, პირველი ნაბიჯი სკოლამ უნდა გადადგას მასწავლებლისა და კლასის ხელმძღვანლის მეშვეობით. ბავშვის სწორ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლისა და მასწავლებლის პირად მაგალითს. საერთო მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობა, გაითვალისწინო ორივე მხრიდან დანახული როლები - მასწავლებლის მიერ დანახული მშობლის როლი და, პირიქით, მშობლის მიერ - მასწავლებლის როლი. მშობელი უნდა ენდოს მასწავლებელს და შვილის წარმატებით უკმაყოფილომ ყველაფერზე პედაგოგს არ მოსთხოვოს პასუხი. გააცნობიეროს, რომ მოსწავლის წარმატება-წარუმატებლობაში მასაც მიუძღვის წილი, რადგან განათლება გუნდური მუშაობაა და მშობელსაც უნდა აინტერესებდეს შვილის ძლიერი და სუსტი მხარეები, გაკვეთილზე აქტიურობა, ჩართულობა, მომზადების დონე;უნდა იცოდეს, სწავლობს თუ არა ის შესაძლებლობების ფარგლებში, ესმის თუ არა მასწავლებლის მოლოდინები და დროულად მოაქვს თუ არა დავალებები, მზად არის თუ არა გაკვეთილებისთვის, რა ურთიერთობა აქვს კლასელებთან და მასწავლებლებთან. დღეს მშობელსა და სკოლას შორის არაეფექტური კომუნიკაცია აქტუალურია, რაც ხელს უშლის,მასწავლებელმა დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ, მაგრამ თუ მასწავლებელიცა და მშობელიც თავ-თავის წილ პასუხიმგებლობას გაინაწილებენ, მაშინ გაცილებით მეტი მიღწევა იქნება. მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც ორივე მხარეს მრავალი პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება. ამ ურთიერთობამ შესაძლოა, გაზარდოს მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხიც. მშობელთა ინფორმირება უნდა ხდებოდეს, არამარტო მოსწავლის პრობლემების შემთხვევაში, არამედ საუკეთესო მიღწევებისა და საქციელის ინფორმაციის მიწოდებისა და მადლობის სათქმელადაც. მშობლის სკოლაში მშობლის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ, მათ ეძლევათ შესაძლებლობა თავიანთი თვალით დაინახონ მასწავლებლის სწავლების სტილი, ნახონ თავიანთი ბავშვი სასკოლო მეცადინეობის

პროცესში. ისმევა კითხვა :რა არის მშობლების სკოლაში მოუსვლელობის მიზეზი? მშობლების სკოლაში მოუსვლელობის მიზეზი შეიძლებაიყოს: სტერეოტიპული შეხედულებები, ეკონომიკური და კულტურული დააყოფა, მშობელთა მოტივაციის დაბალი დონე, მშობლების მოუცლელობა, მშობლების სოციალური პრობლემები,მშობლების უფლება-მოვალეობებისა და ესგ-ს მიზნებისა და ფასეულობების არცოდნა, მშობლების გამოცდილების ნაკლებობა, დისკომფორტი, რომელიც ხშირად გამოწვეულია იმით, რომ მშობლებმა არ იციან, როგორ ჩაერთონ ბავშვების ცხოვრებაში. რა სტრატეგიას უნდა მიმართოს მასწავლებელმა მშობლებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დასამყარებლად? რა უნდა გააკეთო მიზნის მისაღწევად? მიზანს რომ მიაღწიო, უნდა გაითვალისწინო მშობელთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. ამისათვის შემდეგი აქტივობების შეთავაზება არის შესაძლებელი:

- დააარსეთ მშობელთა კლუბები -- მკითხველთა კლუბი-ვკითხულობთ ერთად მშობლები და ბავშვები. ( დამრიგებელმა დანიშნოს ერთი დღე კვირაში და იმსჯელონ წაკითხულის გარშემო, რაც გამოიწვევს მოტივაციას)

**1. ასწავლეთ მშობლებს, როგორ ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში.**

- ჩაატარეთ მშობელთა გამოკითხვა ან შეხვედრა- დაურიგეთ ანკეტები, გამოკითხვები. გაიგეთ მათი პრობლემები.
- შექმენით ვებ-გვერდი-- მოუსმინეთ მშობლებს! განათავსეთ მოსწავლეების ნაშრომები, რომელიც ხელმისწვდომი იქნება მოსწავლეების და მშობლებისათვის, ამით მშობლები იქნებიან კმაყოფილი. ნინელი ხუხიას ბლოგი--_https://www.blogger.com/blogger.g?blogID=7803953116450518209#allposts --- მშობელთა ჩართულობის როლი მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში
- ჩართეთ მშობლები გუნდურ თამაშში-,,მშობლები, ბავშვები მასწავლებლები“, შეიტანეთ სხვადასხვა აქტივობა, მაგ, კითხვები-გაითვალისწინეთ მშობლების შესაძლებლობები, უხერრხულად რომ არ იგრძნონ თავი, როლური თამაში, სიმღერა, ცეკვა და სხვა.http://ninelix-uxia.blogspot.com/
- ჩაატარეთ მშობელთა ეტალონი- შეადგინეთ ისეთი კითხვები, რომელიც შეესაბამება მათ შესაძლებლობებს
- https://www.blogger.com/blogger.g?blogID=7803953116450518209#allposts ჩართეთ ექსკურსია-ლაშქრობაში და დაგეგმეთ ერთობლივი თამაშები, სპორტული ინტელექტუალური, რომელიც ხელს შეუწყობს მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა დაახლოებას. (სპორტული შეჯიბრი (მხიარული სტარტები მშობლების მონაწილეობით) https://www.blogger.com/blogger.g?blogID=7803953116450518209#allposts

**ჩაატარეთ**

- ღია/საჩვენებელი გაკვეთილი მშობლებისათვის
- კულტურული ღონისძიებები (კონცერტები / საზეიმო ნომრები / სპექტაკლები/ /სკეტჩები) https://www.blogger.com/blogger.g?blogID=7803953116450518209#allposts რეგულარულად შეატყობინეთ კარგი ამბები შეაფასებინეთ მშობლებს თითოეული ღონისძიება, დაამყარეთ მშობლებთან ეფექტური კომუნიკაცია, შექმენით საინფორმაციო ქსელი მშობლებთან დასაახლოებლად და ინფორმაციის გასაზიარებლად, წაახალისეთ მშობლები, შეხვდით გულთბილად, გააცანით სიახლეები, დაგეგმეთ ღია კარის დღეები და ჩაუტარეთ ტრენინგები, მოაწყვეთ მშობელთა ინდივიდუალური შეხვედრები, მშობლებთან შეთანხმებულად დაგეგმეთ ღონისძიებები და ჩართეთ მასში. მაგალითად: - მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების კონფერენციებში, პოეზიის საღამოებში... https://www.blogger.com/blogger.g?blogID=7803953116450518209#allposts

მშობელთა ჩართულობა ხანგრძლივი პროცესია, რაც ნიშნავს ერთობლივ უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლის გაუმჯობესებაზე, მათ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. მართალია, თავიდან შეიძლება ვერ მიაღწიო მიზანს, მიიღო დაბალი მოტივაცია, დრო ვერ გამონახონ სკოლაში მოსასვლელად, მაგრამ თანდათან მიხვდებიან, რომ ეს აუცილებელია და საჭირო, რომ მშობელთა ჩართულობით მოსწავლეებს გაუუმჯობესდებათ აკადემიური მოსწრება,

ბავშვები ჩამოყალიბდებიან პიროვნებად, ამაღლდება სკოლისა და სწავლისადმი მშობლის ნდობა, ყველაფერი ეს მიგვიყვანს მთავარ მიზანთან -მშობელი იგრძნობს, რომ სკოლა ის ადგილია, სადაც მას იღებენ, უსმენენ, მის აზრს ითვალისწინებენ. აღარასოდეს ექნება მიუღებლობის განცდა, და ყოველთვის მთელი არსებით ჩაერთვება შვილის აღზრდასა და განათლება ში.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. თომას გორდონი, „როგორ გავხდე კარგი მშობელი, მასწ.პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2004 წელი
2. http://martlmadidebloba.ge/images/top.jpg
3. http://mastsavlebeli.ge/?p=21555.
4. http://mastsavlebeli.ge/?p=19858
5. http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf
6. ნინელი ხუხიას ბლოგი--_https://www.blogger.com/blogger.g?blogID=7803953116450518209#allposts